ახალი განათლება

12-18.03.2020

№8 (882) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2 ლალი ჯელაძე
როგორ ვუპასუხებთ გამოწვევას

4 ლალი თვალაბეიშვილი
უნიკალური შესაძლებლობა ქართველი სტუდენტებისთვის

6 ლალი თვალაბეიშვილი
მსოფლიო ბანკი ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

7 ლალი ჯელაძე
როგორ ვიცავთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებებს სასამართლო პროცესზე

11 ირაკლი თავაძე
ინტერვიუ ზურაბ ჯუშოშვილთან, წლის საუკეთესო სპორტის მასწავლებელთან

ონლაინ სწავლების ქართული მინი-მოდელი

ნონა ჯოჯიაშვილი

ამ მინი-მოდელზე დავაჯვირდებით, თუ როგორ იმუშავებს ჩვენს ხელობაში დისტანციური სწავლება. გარკვეულწილად ეს გახდება სტარტი დისტანციური სკოლის ჩამოსაყალიბებლადაც, რომლის კონცეფცია მზად გვაქვს. ძალიან გვინდა ეს იდეაც ხელობად ვაქციოთ, რადგან დარწმუნებული ვართ, მნიშვნელოვანი საქმე იქნება ჩვენი განათლების სისტემისთვის. იდეის განსახორციელებლად ჯერ მხარდაჭერა გვჭირდება.

ონლაინ სწავლების გამოცდილება

ნუსა ჯობახიძე

მე ალვნერე ჰონგ კონგში ვარ ხდება. ვარ შეეხება ჩინეთს, იქ სულ სხვა განათლების სისტემაა. მთავრობამ გაკვეთილების ტრანსლაცია დაიწყო ტელევიზიებით და შექმნა „ქალაქის ეროვნული სასწავლო პლატფორმა".

არდადეგები სასწავლო დაწესებულებებში 1 აპრილამდე გახანგრძლივდა

განათლების მინისტრმა, უახლოეს დღეებში, კონკრეტული საგანმანათლებლო და აკადემიური გეგმის წარდგენა დააანონსა, რომელიც იმის გარანტიას იძლევა, რომ სასწავლო და აკადემიურ პროცესს ხელი არ შეეშლება.

ДИСТАНЦИУРИ СВАВЛЕБА

როგორ ვუპასუხებთ გამოწვევას

როგორც ცნობილია, მთავრობის განკარგულებით, კორონავირუსის პრევენციის მიზნით, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა 16 მარტამდე შეჩერდა. რამდენიმე დღის წინ, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ უნივერსიტეტებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კორონავირუსის რისკის გამო, ონლაინ სწავლებაზე გადასვლისკენ და კონფერენციების თუ სხვა ღონისძიებების ონლაინ სივრცეში ჩატარებისკენ მოუწოდა.

„განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებს მინდა მივმართო. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ სწავლების და დიდი თავშეყრის – კონფერენციების თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზება გადავიდეს ონლაინ რეჟიმებში. მაღალი ტექნოლოგიების განვითარება როგორც გაძლევთ საშუალებას, ბავშვებთან და სტუდენტებთან კომუნიკაცია ინტერნეტის საშუალებით გძონდეთ. ვეცადოთ, ნაკლები იყოს ადამიანების მასობრივი თავშეყრა,“ – განაცხადა ამირან გამყრელიძემ. რეკომენდაციის მიუხედავად, ჯერჯერობით, უცნობია განათლების სამინისტროს პოზიცია, რა კონკრეტულ გეგმას გამოიყენებს იმ შემთხვევაში, თუკი არდადეგების გახანგრძლივება დადგება დღის წესრიგში ან აქვთ თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს დისტანციური სწავლების რესურსი და გამოცდილება? დაავადებათა კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელის რეკომენდაციას სოციალურ ქსელში მალე მოჰყვა განათლების საკითხების ქართველი მკვლევრის, ნუცა კობახიძის პოსტი ჰონ კონგის უნივერსიტეტში ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ.

თუ რა გამოცდილება აქვს ჩვენს განათლების სისტემას დისტანციური სწავლების კუთხით და რა ონლაინ შესაძლებლობებს სთავაზობს სკოლებს, ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის პროგრამების ხელმძღვანელი ნონა პოპიაშვილი .

ონლაინ სწავლების ქართული მინი-მოდელი

„ამ მინი-მოდელზე დავაკვირდებით, თუ როგორ იმუშავებს ჩვენს რეალობაში დისტანციური სწავლება. გარკვეულწილად ეს გახდება სტარტი დისტანციური სკოლის ჩამოსაყალიბებლადაც, რომლის კონცეფცია მზად გვაქვს. ძალიან გვინდა ეს იდეაც რეალობად ვაქციოთ, რადგან დარწმუნებულები ვართ, მნიშვნელოვანი საქმე იქნება ჩვენი განათლების სისტემისთვის. იდეის განსახორციელებლად კი მხარდაჭერა გვჭირდება.“

ნონა პოპიაშვილი

რატომ გაჩნდა დისტანციური სწავლების იდეა

ბოლო პერიოდში განათლების სისტემაში განხორციელებულმა რეფორმამ – პრაქტიკოსი მასწავლებლების საპენსიო ჯილდოს გაცემა და პრაქტიკოსისთვის სტატუსის ასამაღლებლად გარკვეული დროის განსაზღვრა (თუ დადგენილ დროში სტატუსს ვერ აიმაღლებს, მოუწევს სკოლის დატოვება) – გამოთავისუფლებული ადგილების კვალიფიციური კადრებით შევსების საჭიროება გააჩინა, ანუ რეალურად აუცილებელი გახდა ვაკანსიები პედაგოგებით შეგვევსო.

თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებში, მცირეკონტინგენტიან სკოლებში, სადაც ფაქტობრივად, არათუ უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების, არამედ ზოგადად, მასწავლებლობის მსურველებიც კი, რიგ შემთხვევაში, დეფიციტურია. განსაკუთრებით დეფიციტურია ისეთ საგნებში, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და მათემატიკა. გაჩნდა იდეა, ხომ არ ვასწავლოთ ეს საგნები დისტანციურად?

გასულ წელს, წინასწარ იყო ნავარაუდევი, რომ ეს პრობლემა დადგებოდს და მოისინჯა ნიადაგი – რამდენად განხორციელებადი იყო დისტანციური სწავლება. მოგეხსენებათ, რომ პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“, რომელიც, ძირითადად, რეგიონებში დეფიციტური კადრების შევსებას ემსახურება, საკმაოდ დიდ ბიუჯეტს მოითხოვს, ამის გარდა, ამ პროგრამით აუცილებლად ადგილზე უნდა წავიდეს მასწავლებელი, ეს კი ყოველთვის არ ხერხდება. ამიტომ მცდელობად ღირდა, გაგვეგო როგორ ავამუშავებდით დისტანციურ პროგრამას. თან ამ მხრივ მცირე გამოცდილება უკვე გვქონდა, რადგან გასულ სასწავლო წელს, ხულოს რაიონის ორ სოფელში, ინგლისური ენის სწავლება დისტანციურად მიმდინარეობდა. თუმცა, ვიმეორებ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ორ სკოლაში განხორციელდა. დისტანციური პროგრამა, ასევე, მოქმედებს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის, რომლებსაც მშობლიური ენის შესწავლა სურთ.

2019 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც გავაკეთეთ მოკვლევა, თუ რა ვაკანსიები შეიძლება გაჩენილიყო სკოლებში, სერიოზული ფიქრი, უფრო სწორად მზადება დავიწყეთ, რომ მოგვემზადებინა მასწავლებლების ჯგუფი ჩამოთვლილ დეფიციტურ საგნებში, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, სწავლებას დისტანციურად განახორციელებდნენ. ამასთანავე გამოვიკვლიეთ, რა სიტუაციაა მაღალმთიანი სოფლების სკოლებში. ინტენსიური შეხვედრები გვქონდა რეგიონებში რესურცენტრებთან, სკოლის დირექტორებთან, რომელთაც ვეკითხებოდით, არის თუ არა სკოლა მზად დისტანციური სწავლებისთვის, თუ სკოლაში კადრის/მასწავლებლის დეფიციტი გაჩნდება?

რას გულისხმობს სკოლის მზაობა?

სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინტერნეტი. ემისის საშუალებით გვაქვს ინფორმაცია, რომ ყველა სკოლაში არის ინტერნეტი, უბრალოდ, რამდენად სწრაფია ეს სხვა საკითხია. ზოგიერთი სკოლა გვეუბნებოდა, რომ პრობლემა არ აქვთ, სკოლების ნაწილს კი ამ კუთხით გაძლიერება და დახმარება სჭირდება. იქ, სადაც უწყვეტი ინტერნეტი არ ჰქონდათ, პრობლემა მოდემის ან მობილური ინტერნეტის საშუალებით მოვაგვარეთ. თუმცა, ამის გარდა, პირველ რიგში, აუცილებელია სკოლას ჰქონდეს კომპიუტერი, ვიდეოთვალი, მიკროფონი, ხმის გამაძლიერებელი, ან უბრალოდ, ლეპტოპი – ეს ყველაზე მოსახერხებულია ამ შემთხვევაში.

ამის გარდა, საჭიროა პროგრამული უზრუნველყოფა – ვინდოუსის უახლესი ვერსია. ჩვენ მაიკროსოფტი ამის საშუალებას გვაძლევს, სამინისტრო, ხელშეკრულების საფუძველზე, თანამშრომლობს მაიკროსოფტთან და საქართველოში აბსოლუტურად ყველა მასწავლებელს აქვს მაიკროსოფტის ექაუნთი შექმნილი, ანუ მეილზე, აუთლუქსა და ოფის 365-ზე ყველა მასწავლებელს მიუწვდება ხელი. იმ შემთხვევაში კი, რომელ სკოლაშიც არ იცოდნენ, მაგალითად, ოფის 365-ის გამოყენება, ჩვენ ვუწევდით დახმარებას.

როგორც გითხარით, თადარიგი ზაფხულში დავიჭირეთ და ყველა დეფიციტურ საგანში, დაახლოებით, 20 მასწავლებელი გადავამზადეთ. დავატრენინგეთ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ინგლისურის, გეოგრაფიის, ქართულისა და რუსულის მასწავლებლები, როგორ უნდა ასწავლონ დისტანციურად – როგორ გამოიყენონ ოფისის აპლიკაციები, შექმნან ბმული, რომელსაც შემდეგ სკოლაში გააზიარებენ და რომლის საშუალებითაც წარმართავენ სწავლებას. ბმულები ხელმისაწვდომია ჩვენი ექსპერტებისთვისაც. საგნობრივ მიმართულებებზე პასუხისმგებელი ექსპერტები გარკვეულ მონიტორინგს უწევენ მასწავლებლებს. ბმულზე წვდომა აქვს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურსაც, ანუ მათ, ვისაც ბმულზე წვდომა აქვს, ნებისმიერ დროს, შეუძლია შევიდეს 33-ვე მასწავლებლის ბმულზე და ნახოს რას აკეთებენ, რა ხარვეზები წარმოიშვა, ხომ არ არის შეფერხება. პარალელურად, მუდმივად საქმის კურსშია ემისი, რადგან თუკი ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით პრობლემა წარმოიშვება და ჩვენ ვერ ვაგვარებთ, სკოლის დირექტორი სასწრაფოდ რეკავს ემისის ცხელ ხაზზე. ხშირად კი, ლოკალურადაც ვაგვარებთ მოდემის ან სატელეფონო ინტერნეტის საშუალებით.

დისტანციური სწავლება არის თუ არა ინტერაქციული პროცესი

სრულიად იქნტერაქციული პროცესია. ადრე სწავლებისას სკაიპს ვიყენებდით და ამ აპლიკაციასაც ძალიან ბევრი შესაძლებობა ჰქონდა ინტერაქციისთვის – მაგალითად, გაზიარება, სავარჯიშოების გაკეთება, კითხვა-პასუხის აქტივობები და ა.შ.

აბსოლუტურად ცოცხალი ატმოსფეროა, უკუკავშირის მიღება, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება (თუკი ამის საჭიროებაა), ყველაფერი ზუსტად იმგვარად ხდება, როგორც ჩვეულებრივ გაკვეთილზე. სხვა სიკეთეებთან ერთად, დისტანციურმა სწავლებამ ისიც მოიტანა, რომ იმ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომლებიც კარგად ვერ ფლობდნენ ონლაინინსტრუმენტებს, ახლა ეს კარგად შეუძლიათ, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არც აქვთ, რადგან სწორედ ონლაინინსტრუმენტები თამაშობს გადამწყვეტ როლს.

თიმსზე გადასვლით (ესეც ერთ-ერთი აპლიკაციაა მაიკროსოფტის), ტექნიკურად დისტანციური სწავლება უფრო გაიოლდა. სხვათა შორის, კორონავირუსთან დაკავშირებული პროცესების გამო, მაიკროსოფტმა მთელ მსოფლიოს 6-თვიანი უფასო რეგისტრაცია შესთავაზა. თუმცა, როგორც გითხარით, ჩვენ ამის აუცილებლობა არ გვაქვს, რადგან სამინისტროს ისედაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება და ვსარგებლობთ ოფის 365-ის ქსელით. ძალიან მოქნილი და მოხერხებული პლატფორმაა. მასწავლებლები, რომლებიც თიმსს იყენებენ, ამბობენ, რომ მოხერხებულია, რადგან ყველაფერი ერთ სივრცეშია განთავსებული. ამიტომ, დისტანციური სწავლებისას, ჩვენც სკაიპი თიმსით ჩავანაცვლეთ, აქ უპირატესობა ისიცაა, რომ უფრო გამარტივებულია, თუნდაც გაკვეთილის ჩაწერის პროცესი. გაკვეთილის დაწყებამდე, ღილაკზე თითის დაჭერით, გაკვეთილი მიმდინარეობის პროცესშივე იწერება, შემდეგ ავტომატურად იტვირთება თიმსში, რადგან ყველაფერი დაარქივებული გვაქვს. დავალებების მიცემა, ფაილების მიბმა, დისკუსიის საშუალება – ეს ყველაფერი ერთ სივრცეშია განთავსებული, სადაც მშობლებსაც კი შეუძლიათ დისტანციურად ჩაერთონ და ნახონ რას აკეთებენ მათი შვილები. უბრალოდ, ის კონტინგენტი, რომელიც ამ დროისთვის დისტანციური სწავლების პროგრამაში გვყავს ჩართული (ეს მაინც მაღალმთიანი, მცირეკონტინგენტიანი სოფლების სკოლები არიან და ასე იოლად არ ხერხდება მათი ჩართვა პროცესებში, რადგან მშობლებსაც უნდა ჰქონდეთ კომპიუტერი სახლში), ამას ვერ ახერხებს ან არ ინტერესდება. მაგრამ, ვფიქრობთ, ნელ-ნელა გაიზრდება ინტერესი როგორც მშობლების, ისე სკოლის დირექციის მხრიდან. რაც მთავარია, ბავშვები ძალიან ბედნიერები არიან ამ ტიპის გაკვეთილებით.

პირისპირ კონტაქტი

ალბათ მნიშვნელოვანია პირისპირ კონტაქტიც, ამიტომ ჩვენ ასეთი რამ მოვიფიქრეთ – მასწავლებლებს ჩავუდეთ კონტრაქტში, რომ სემესტრის განმავლობაში ერთხელ, ჩავიდნენ ადგილზე და გაიცნონ მოსწავლეები, თუ შესაძლებელია, ერთი გაკვეთილიც ჩაატარონ. შორს მდებარე სკოლებში ვიზიტს ჩვენ ვაფინანსებთ, ახლო სკოლებში თავად ახერხებენ ჩასვლას. მაგალითად, გასულ სემესტრში, გოგაშენის (ახალციხეში) სკოლაში, სამივე საგნის მასწავლებელი ერთდროულად ჩავიდა მოსწავლეებთან – დისტანციურად იქ რამდენიმე საგანს ვასწავლით (ინგლისური, რუსული, გეოგრაფია). ინგლისური ენის მასწავლებელმა ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული წიგნებიც კი ჩაუტანა მოსწავლეებს საჩუქრად.

7 საგანი, 33 სკოლა და 39 მასწავლებელი

ამ დროისთვის, სულ, 7 საგანი ისწავლება დისტანციურად, მათ შორის, ყველაზე დეფიციტურია ფიზიკა. რაც შეეხება რეგიონებს, პროექტში ჩართულია მაღალმთიანი აჭარა – ხულო, ქედა, შუახევი, ასევე, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, გურიის რამდენიმე სოფელი და დეკემბრიდან შემოგვიერთდა შატილი, ჯამში – 33 სკოლა და 39 მასწავლებელი (მათ შორის, ორი სომხურენოვანი მასწავლებელია.), რადგან ზოგიერთ სკოლაში რამდენიმე საგანი ისწავლება, მაგალითად, როგორც გითხარით, გოგაშენში, სამი საგანი, შატილშიც რამდენიმე საგანს ვასწავლით დისტანციურად. ძალიან კი გვინდოდა, შატილში გაგვეგზავნა მასწავლებლები, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, ეს ყველა საგანში ვერ მოხერხდა. რიგი საგნები „ასწავლე საქართველოსთვის“ პროექტის ფარგლებში დავფარეთ, დანარჩენები კი, დისტანციურად – ფიზიკა, ქიმია, ბოლოგია და მათემატიკა.

მასწავლებლების შერჩევისას აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთეთ. განსაკუთრებით ფიზიკაში გვიჭირს კადრები, არათუ რეგიონებში, თბილისშიც კი. სწორედ ზურა ბერიას ინიციატივა იყო, რომ ახალგაზრდა ფიზიკოსებისთვის, რომლებმაც არაჩვეულებრივად იციან საგანი, კარგად ფლობენ ტექნოლოგიებსაც და ამასთან ერთად, აქვთ მოტივაცია, მიგვეცა პროგრამაში ჩართვის შანსი. თუმცა, მათ გარდა, პროგრამაში, ჩართულები არიან წამყვანი, მენტორი და უფროსი მასწავლებლებიც, ანუ ძალიან გამოცდილი პედაგოგები, რომლებსაც მართლა დიდი მოტივაცია და განცდა აქვთ იმისა, რომ მნიშვნელოვან და ეროვნულ საქმეს აკეთებენ. ძალიან კვალიფიციური კადრები გვყავს, მაგალითად, მათემატიკის მიმართულებით – დავატრენინგეთ რამდენიმე ადამიანი, არაჩვეულებრივი გუნდი შეიკრა, რომელთაც საჭიროების მიხედვით გადავანაწილებთ სკოლებში.

როგორია დისტანციური სწავლების რეზერვი – რისთვის ვართ მზად?

კადრების დეფიციტით გამოწვეული პრობლემა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაღრმავდება. ჩვენ გამოწვევას სრულად ვერ ვუპასუხებთ, თუმცა, მზად ვართ, დავაკმაყოფილოთ 500 საათის სწავლება (კვირეული დატვირთვა), ახლა 39 მასწავლებლის საშუალებით 300-ზე მეტ საათს მოვიცავთ. მართალია, ძალიან დიდი რეზერვი არ გვაქვს, მაგრამ, გაზაფხულზე არც ველოდებით კადრების დეფიციტის მკვეთრ ზრდას, რა იქნება სექტემბრიდან, ამაზე წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

დისტანციური სწავლება

ზაფხულშივე დავაკვირდებით პროცესს და თუკი აღმოჩნდება, რომ შესაძლოა უფრო მეტი ვაკანსია გაჩნდეს სასწავლო წლის დასაწყისისთვის, მაშინ შეიძლება ბიუჯეტის ზრდაზეც ვიფიქროთ, რათა მეტი სკოლის ჩართვა შევძლოთ პროექტში.

ნიადაგი მოსინჯულია და პროგრამა დატესტილია. დღევანდელი გადასახედიდან პროცესები კარგად მიდის, თუმცა საბოლოო შედეგებზე წლის ბოლოს ვისაუბრებთ. ანალიზის შემდეგ კი, როგორც გითხარით, შესაძლოა ჩვენი ცენტრის ბაზაზე დისტანციური სკოლაც ჩამოყალიბდეს, სადაც ყველა საგნობრივი მიმართულებით გვექნება ესგ- ზე მორგებული და ადაპტირებული კურიკულუმი. ამ ყველაფერს კი, გარკვეული თანხები და ადამიანური რესურსი დასჭირდება. თუმცა, ღირს ამაზე ფიქრი, რადგან სისტემას ექნება სრული მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, ობიექტური მიზეზების გამო, სასწავლო პროცესს გამოთიშულ მოსწავლეებს, ადგილზე სწორედ დისტანციური სკოლის საშუალებით მიაწოდოს ხარისხიანი განათლება ყველა საგანში.

როგორ ვუპასუხებთ გამოწვევას

ამაზე, ბუნებრივია, მიფიქრია, რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმ შემთხვევაში, თუკი სწავლა ისევ გადაიდო? თუ საჭირო გახდება ქვეყანაში დისტანციური სწავლების დანერგვა, ჩვენ მზად ვართ, გამოცდილება გავუზიაროთ მასწავლებლებს იმ კონკრეტული დეტალების შესახებ, რაც ჩვენი პროგრამის განხორციელებისას დავინახეთ – რა მუშაობს ან რა არ მუშაობს; გავუზიაროთ რა გამოცდილება გვაქვს თიმსის მიმართულებით. ბუნებრივია, ეს ყველაფერი შეიძლება ვებინარების საშულებით განხორციელდეს და სწორედ ასეთი ფორმატით ჩავუტაროთ გარკვეულ ჯგუფებს ონლაინტრენინგები, ვაჩვენოთ როგორ შეუძლიათ თიმსის გამოყენებით შექმნან ჯგუფი და მოსწავლეებს, რომლებიც სახლში იქნებიან, ჩაუტარონ გაკვეთილები. მართალია, ძალიან დიდი მასშტაბია – 60 ათასი მასწავლებელი ჰყავს სისტემას და ყველასთვის ასეთი ტიპის ტრენინგის ჩატარებას ვერ შევძლებთ, მაგრამ შეიძლება შეიქმნას გაიდლაინები, ჩაიწეროს ვიდეოინსტრუქციები და ეს რესურსი მასწავლებლებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

ჩვენი ამოცანა იყო, დაგვეწყო, გვენახა რა მასშტაბს შეიძლება გავწვდეთ, რამდენად კარგად იმუშავებს მსგავსი მოდელი. როგორც ხედავთ, ეს შევძელით საცდელ რეჟიმში, თუმცა, ახლა ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება დისტანციური სწავლების შედეგები – მოსწავლეთა მიღწევები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. გარდა ამისა, საინტერესოა პროექტის ტექნიკური მხარეც და, ზოგადად, ყველა ხარვეზი, რაც გამოვლინდება და რასაც გავითვალისწინებთ პროექტის დასახვეწად.

რომელი ქვეყნის გამოცდილებას ანიჭებს უპირატესობას ქართული მოდელი

ამ მიმართულებით, რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება შევისწავლეთ და აღმოჩნდა, რომ ბალტიისპირეთს საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს. ამერიკაში დიდი ხანია მუშაობს დისტანციური სწავლების პროგრამები, რადგან იქაც ბევრი მიზეზი არსებობს, რის გამოც მოსწავლეები ვერ დადიან სკოლაში. ასევე აღმოჩნდა, რომ დისტანციური სწავლების ძალიან კარგი პრაქტიკა აქვს ავსტრიას. მაგრამ არჩევანს, ესტონურ გამოცდილებაზე შევაჩერებთ.

დისტანციური სწავლება ინკლუზიურ განათლებაში

დისტანციური სკოლის კონცეფციის შემუშავებისას ერთ-ერთი პუნქტი სწორედ ინკლუზიური განათლების მიმართულებას ეთმობა. ინკლუზია თავის თავში ინტეგრირებას და სოციუმთან მიახლოებას გულისხმობს, მაგრამ დისტანციური სწავლება აქაც იმ გარკვეულ შემთხვევებს გულისხმობს, რომ ცა მოსწავლე, ობიექტური მიზეზების გამო, თუნდაც რაღაც პერიოდის განმავლობაში, სკოლაში მისვლას ვერ ახერხებს.

ამიტომ, დისტანციური სკოლის ფარგლებში, აუცილებლად იქნება ერთი მიმართულება ინკლუზიური განათლება, რომელიც, სპეციალისტებთან ერთად, კარგად დამუშავდება მეთოდურად, სწორად განისაზღვრება საჭიროებები დარღვევების ტიპისა და მოთხოვნების შესაბამისად. რეალურად, ტექნოლოგიები იძლევა არაჩვეულებრივ საშუალებას, ყველა მოთხოვნასა და საჭიროებას მოვარგოთ დისტანციური სწავლება, რის აუცილებლობაში მსოფლიოში (და ჩვენს ქვეყანაში) მიმდინარე ამბებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. ძალიან კარგია, რომ ამ თემით დაინტერესდით. ეს კიდევ ერთი ბიძგი იქნება ამ მიმართულების განვითარებისთვის. რაც უფრო მეტი ადამიანი მიხვდება, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში, სხვაგვარად შეუძლებელია სრულფასოვანი განვითარება, მით უფრო სწრაფად წავალთ წინ.

ჩვენ ასევე, მასწავლებლებისთვის დავიწყეთ დისტანციური ტრენინგები, რასაც მრავალმხრივი (თავისებური) დატვირთვა აქვს (პირისპირ ტრენინგებსც აქვს თავისი დადებითი მხარეები, მაგრამ ვფიქრობ, უკვე მომწიფდა სიტუაცია, რომ მასწავლებლებიც გადავიდნენ ონლაინტრენინგების რეჟიმზე). გარდა იმისა, რომ ონლაინტრენინგები რეფლექსიის უფრო მეტ საშუალებას იძლევა (ამას კვლევებიც ადასტურებს), რადგან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არიან ონლაინკურსში ჩართულები და კითხულობენ ერთმანეთის მიერ დაწერილ თვალთახედვას თუ სხვა აქტივობებს, ამით მეორე საქმეც გავაკეთეთ – საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს მასწავლებლებს ტექნოლოგიებთან ურთიერთობის სერიოზული პრობლემა აქვთ, ონლაინ კურსი კი ამ უნარების განვითარებას თავისთავად უზრუნველყოფს.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

ონლაინ სწავლების გამოცდილება

„მე აღვწერე ჰონგ კონგში რაც ხდება. რაც შეეხება ჩინეთს, იქ სულ სხვა განათლების სისტემაა. მთავრობამ გაკვეთილების ტრანსლაცია დაიწყო ტელევიზიებით და შექმნა „ქლაუდის ეროვნული სასწავლო პლატფორმა“. მოკლედ, ეგ ცალკე თემაა.“

ნუცა კოზახიძე

✓ ბევრი მეკითხება კორონავირუსის გამო ონლაინ სწავლების შესახებ უნივერსიტეტში. გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას.

ჰონგ კონგში ონლაინ სწავლების არაერთი პლატფორმა შემოგვთავაზა უნივერსიტეტმა და მოგვცა საშუალება აგვერჩია ის, რაც უფრო კარგად ერგება ჩვენს კურსებს. რაც მთავარია, უნივერსიტეტმა სასწრაფოდ შექმნა პროფესორ-მასწავლებლებისთვის ონლაინ-ტრენინგები სხვადასხვა პროგრამაში. ფაკულტეტზე არსებული ონლაინ-სწავლების ცენტრი 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა. IT სპეციალისტები ჩვენს კითხვებს სწრაფად პასუხობენ Whatsapp-ით, Skype-ით, Zoom-ით, Google hangout-ით და სხვა პლატფორმებით. 24-საათიანი იმიტომ, რომ ბევრი ჩემი კოლეგა ამჟამად იმყოფება ამერიკაში, კანადაში და დროის სხვა ზონიდან უწევთ სწავლება.

არსებობს სინქრონული და ასინქრონული მიდგომა და მათი შერეული ფორმა.

სინქრონულია, როდესაც რეალურ დროში, „ლაივში“ მიმდინარეობს ლექცია. სტუდენტებს საშუალება აქვთ მასწავლებელს დაუსვან შეკითხვა და მიიღონ უკუკავშირი. უარყოფითი ის არის, რომ ხანდახან ტექნიკური პრობლემები იქმნება პროგრამასთან და ინტერნეტთან დაკავშირებით. ასევე რთულია სტუდენტების დიდ ჯგუფთან ერთად მუშაობა, როცა ერთდროულად ბევრი იწევს ხელს კითხვის დასასმელად.

ასინქრონულია, როდესაც მასწავლებელი სასწავლო მასალას ხელმისაწვდომს ხდის ინტერნეტში და სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს ისწავლოს, დაუბრუნდეს მასალას, გაიმეოროს და ა.შ. უარყოფითი ის არის, რომ მასწავლებელი ბევრ დროს ხარჯავს მასალის მოსამზადებლად, ვიდეოების ჩასაწერად, სტუდენტი შეიძლება პასიურად უსმენდეს და აქტიურად არ მონაწილეობდეს.

შერეული ფორმაა, როდესაც „ლაივ“ ლექციებთან ერთად მასწავლებელი ინტერნეტით ატვირთავს სასწავლო მასალებს, სადისკუსიო ფორუმებს ხსნის, სადაც სავალდებულო საკითხავ მასალასთან დაკავშირებით სტუდენტებს აძლევს შეკითხვებს (მაგალითად, Moodle-ით). ამას ემატება ონლაინ და ოფლაინ ჩეტები (მაგ. Whatsapp, Messages, Zoom chat, Skype chat), სადაც მოსწავლეებს დამატებითი კითხვების დასმა შეუძლიათ.

Zoom და Skype for business ვიდეო და აუდიო ლექციის საუკეთესო საშუალებაა. Zoom-ით ასევე შესაძლებელია სტუდენტების ონლაინ ჯგუფებად დაყოფა და ჯგუფური დავალებების მიცემა, ინტერვიუების აღება, ონლაინ კონფერენციების და ვებინარების მოწყობა. აქვს ასევე საჭირო ფუნქცია, რაც გულისხმობს ბექგრაუნდის დაფარვას. ბევრი ადამიანი საძინებლიდან და სამზარეულოდან ერთვება, და არ სურს სახლის სიტუაციის გამოჩენა, რაც ბუნებრივია. ინტერაქტიული ლექციებისთვის კარგი პროგრამებია Kahoot!, Mentimeter და Pollev (ბოლო ორი სწრაფი ინტერაქტიული გამოკითხვების ჩატარების საშუალებას იძლევა).

იმისთვის, რომ ონლაინ სწავლება არ იყოს მოსაწყენი და სტუდენტები რაც შეიძლება მეტად ჩაერთონ სწავლაში, თავი იზოლირებულად არ იგრძნონ და ეს დრო ხარისხიანი სწავლისთვის მაქსიმალურად გამოიყენონ, უნივერსიტეტმა სწავლების არაერთი სტრატეგია შემოგვთავაზა. მაგალითად, როგორ გამოვიყენოთ ვიზუალიზაციის მეთოდი იმისთვის, რომ შევქმნათ კონცეპტუალური რუკები. ამისთვის საუკეთესო პროგრამაა Cmap. ასევე ძალიან შემოქმედებითი პლატფორმაა LucidChart, რომელიც საშუალებას იძლევა ონლაინ თანამშრომლობისთვის, ერთად დახატვის, ცხრილების და დიაგრამების შექმნის.

Mindmaster და Coggle ბრეინსტორმინგისთვის შესანიშნავი პროგრამებია, შესაძლებელია იდეების ხის დახატვა, ერთ ვიზუალურ იმიჯზე ბევრი ადამიანის ერთდროულად მუშაობა.

სადისკუსიო ფორუმები კარგია იმის შესამოწმებლად, წაიკითხეს თუ არა სტუდენტებმა სავალდებულო საკითხავი მასალა ლექციისთვის. ასევე შეიძლება peer review-ს ნაწილის დამატება, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს აფასებენ, ერთმანეთს შეკითხვებს უსვამენ და ა.შ. Moodle საშუალებას გაძლევთ ხმოვანი უკუკავშირი მისცეთ სტუდენტებს აუდიო ფუნქციის გამოყენებით.

პროგრამები Panopto და Camtasia საშუალებას იძლევა ლექცია ჩაწეროთ, სადაც მასწავლებელი ვიდეოს საშუალებით გამოჩნდება და თან კომპიუტერის ეკრანსაც გააზიარებს. ეკრანის ჩაწერა შესაძლებელია ასევე უმარტივესი პროგრამით Screencastify ან უბრალოდ PowerPoint-ით, რომელსაც ყველა სლაიდზე შეუძლია ჩაიწეროს აუდიო ფაილი.

სტუდენტებთან და თანამშრომლებთან საკომუნიკაციოდ და შეხვედრების დასაგეგმად შეგიძლიათ გამოიყენოთ: When2meet და Doodle. დოკუმენტების გასაზიარებლად საუკეთესოა Google docs.

რაც შეეხება ონლაინ შეფასებას, შესაძლებელია ქვიზების შექმნა (მაგ. Moodle-პროგრამაში). კითხვები შეიძლება იყოს ღია და დახურულბოლოიანი. არსებობს ასევე ონლაინ გამოცდის პლატფორმა Online Examination System (OLEX). შეფასების ფორმად მე ასევე ვიყენებ 2-3 წუთიან Youtube ვიდეოებს, რომლებიც სტუდენტებმა თემატურად უნდა მოამზადონ და ჩაწერონ. აღსანიშნავია, რომ Youtube-ს აქვს დახურული ვიდეოების გაზიარების ფუნქცია, რომელსაც სხვა მომხმარებლები ვერ ხედავენ. ასევე კარგი იდეაა ონლაინ ჟურნალის წარმოება Google doc-ში, სადაც სტუდენტები თავიანთ რეფლექსიებს ტვირთავენ, აახლებენ და ერთმანეთს აფასებენ (peer review).

ეს არის იმ პროგრამების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც ჰონგ კონგის უნივერსიტეტში ვიყენებთ. აქედან ზოგიერთს ისედაც ვიყენებდით, მაგრამ არა ამ მასშტაბით და ინტენსივობით.

ახლა, როდესაც 16 მარტამდე საქართველოში არდადეგებია გამოცხადებული, უნივერსიტეტების ადმინისტრაციებს კარგი საშუალება აქვთ, ონლაინ სწავლებისთვის მოემზადონ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სწავლა დროულად განახლდება, ამ პროგრამების დანერგვა და პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება უნივერსიტეტებს მომავალში გამოადგებათ.

✓ წინა პოსტში უნივერსიტეტებზე დავწერე. ახლა სკოლებზეც გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას, როგორც მშობელი.

ჰონგ კონგის სკოლები არდადეგებზე იყვნენ, როცა კორონავირუსის აფეთქება მოხდა. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, 3 თებერვლის ნაცვლად სწავლა 17 თებერვალს განახლებულიყო. სიტუაციიდან გამომდინარე ეს თარიღი გადაიწია 3 მარტამდე და ახლა უკვე 20 აპრილამდე. დაიხურა ყველა გასართობი ცენტრი, დისნეილენდი, ოკეანის პარკი, სპორტული, მუსიკალური და ყველა სხვა სახის წრე.

სწავლა რომ არ შეფერხებულიყო, მთავრობამ გამოაცხადა პროგრამა „Suspending classes without suspending learning“ („სკოლების დახურვა სასწავლო პროცესის შეჩერების გარეშე“) და მოუწოდა სკოლებს, რა საშუალებითაც შეეძლოთ, ხელი შეეწყოთ სწავლის გაგრძელებისათვის. ცენტრალურად არ დაგეგმილა რომელიმე პროგრამის გამოყენება, სკოლებს მისცეს არჩევანი.

საკუთარი რესურსიდან გამომდინარე, სკოლებმა მოსწავლეებს სხვადასხვა ფორმით შესთავაზეს დისტანციური სწავლება. რესურსებით მდიდარმა საერთაშორისო სკოლებმა და ადგილობრივმა ელიტურმა სკოლებმა ყველაზე სწრაფად იმოქმედეს და სინქრონული სწავლება შესთავაზეს შემდეგი პროგრამებით:

Google classroom
Google hangouts
Google meet
Explain Everything Whiteboard
Zoom
Seasaw
Epic

ბევრ საერთაშორისო სკოლაში, ყოველდღიურ სწავლებაში ისედაც იყენებდნენ ამ პროგრამებს და ლიცენზიებიც აქვთ (დანის სკოლაშიც, მათ შორის), ამიტომ არც ბავშვებს და არც სკოლებს იმდენად არ გაჭირვებიათ ვირტუალურ რეჟიმში გადასვლა. ზოგიერთმა სკოლამ, ვინც ამდენი ვერ შეძლო, სკოლის ვებგვერდზე სასწავლო მასალების რეგულარულად ატვირთვა დაიწყო, ზოგი იმეილს იყენებს, ზოგიც – whatssup-ს, Skype-ს და ზოგიერთმა სკოლამ დავალებების ფოსტით გაგზავნა დაიწყო.

ჩემი გამოცდილებით, Google classroom ყველაზე მოქნილი სისტემაა, რაც გამომიყენებია. საშუალებას იძლევა მოსწავლეთა ონლაინ დასწრებაც კი აღწეროს. მოსწავლეები დავალებას ასრულებენ Google doc-ში და ონლაინ პირდაპირ ტვირთავენ. მასწავლებლები ონლაინ კომენტარებს უწერენ და შეფასებასაც აძლევენ. ზოგიერთ დავალებას სჭირდება (მაგ. ექსპერიმენტების ჩატარებას მეცნიერებებში, ან ჩინურში იეროგლიფების გამოწერისას) ვიდეოს ან ფოტოს გადაღება და ატვირთვა. მობილური ტელეფონით ვიღებთ ხოლმე და Google drive-ზე ვტვირთავთ. დანის (მესამე კლასი) ასევე უტარდება ფიზიკულტურის გაკვეთილი! მასწავლებელი აგზავნის სიას, როგორ უნდა ივარჯიშოს მოსწავლემ და რამდენჯერ, აღვრიცხავთ და ონლაინ ვაცნობებთ სკოლას.

პრობლემები – ადგილობრივი სკოლის ბევრი მასწავლებლისთვის უცხოა ასეთი ტიპის სწავლება და გაუჭირდათ ადაპტაცია. მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას არ აქვს საკუთარი კომპიუტერი. მოსწავლეთა ნაწილს, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, არ აქვს შესაბამისი უნარები იმისთვის, რომ ონლაინ სკოლაში დამოუკიდებლად ისწავლოს. ამიტომ გადამწყვეტია მშობელთა ჩართულობა. მშობლებს, განსაკუთრებით მათ, ვინც მუშაობენ, დამატებითი თავსატეხი გაუჩნდათ და ძალიან წუხან. ასევე ჩივიან იმაზე, რომ ბავშვები დიდ დროს ატარებენ ეკრანთან, ხშირად სწყინდებათ ონლაინ-გაკვეთილები, გარბიან სამზარეულოში და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტების ონლაინ სწავლების ცენტრები ეხმარებიან სკოლებს ამ პროცესში. მოკლედ, მთელი საზოგადოება ჩართულია ამ პროცესში.

ეს არ არის იოლი. თუმცა, მშობლების, სკოლების და მთავრობის დიდი ძალისხმევით, სწავლების პროცესი საკმაოდ კარგად მიმდინარეობს.

უმაღლესი განათლება

უნიკალური შესაძლებლობა ქართველი სტუდენტებისთვის

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი საქართველოში 2013 წელს დაიწყო, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობების ინიციატივით, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის (გრანტი) ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. შესაბამისად, პროექტის ფარგლებშივე, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის დაფინანსებით, პარტნიორ უნივერსიტეტებში მოეწყო სასწავლო სივრცეები, უახლესი ტექნოლოგიებით აღიჭურვა ქიმიის, კომპიუტერული, ელექტრული, სამოქალაქო და სამშენებლო ინჟინერიის ლაბორატორიები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობის ფარგლებში კი, აშენდა 5000 კვ.მ. ფართობის ტექნოლოგიური შენობა, სადაც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები აგრძელებენ სწავლას. ჯამში, პროექტისთვის აშშ-სა და საქართველოს მთავრობებმა, ასევე კერძო სექტორმა 65 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დაფინანსება გაიღეს.



პროექტის შინაარსის მიხედვით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ნერგავს ამერიკულ პროგრამებს საქართველოში. ამავდროულად, ხორციელდება სახელმწიფო უნივერსიტეტების ლექტორების გადამზადება აშშ-ში, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ამერიკული პროგრამების გადაბარების და საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების პროცესი.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოში, სტუდენტთა პირველი ნაკადი 2015 წელს მიიღო და 2019-2020 აკადემიური წლის მიღების ჩათვლით, 6 პროგრამაზე 780 ქართველი და უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საქართველოში ხორციელდება შემდეგი საბაკალავრო პროგრამები: ქიმია/ბიოქიმია, კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული ინჟინერია, ელექტრული ინჟინერია, სამოქალაქო ინჟინერია და სამშენებლო ინჟინერია. სწავლის დასრულების შემდეგ, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს პროგრამების კურსდამთავრებულები მიიღებენ ორ დიპლომს – სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკულ დიპლომს და ერთ-ერთი პარტნიორი სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომს.

გვესაუბრება ჰალილ გუვენი, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს დეკანი.

– რატომ შეწყვიტა სან დიეგოს უნივერსიტეტმა აბიტურიენტთა მიღება? ეს უნივერსიტეტი, პირველად საქართველოში, სტუდენტებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევდა, მიიღოთ ამერიკული ბაკალავრის ხარისხი საქართველოში და, შესაბამისად, ამერიკული დიპლომი. ხომ არ დაიკარგება ეს შანსი?

– სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU) აგრძელებს საქართველოში მუშაობას. 2020 წელს ჩვენ არ გამოვაცხადეთ პროგრამებზე სტუდენტების მიღება, რადგან პროექტის ფარგლებში, საქართველოს პარტნიორი უნივერსიტეტები აგრძელებენ აღნიშნულ პროგრამებს. კერძოდ, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის უმაღლესი განათლების პროექტის დაფინანსებით, პარტნიორი უნივერსიტეტების STEM პროგრამები მომზადდა საერთაშორისო აკრედიტაციისთვის. შესაბამისად, წელს უკვე თსუ, ილიაუნი და სტუ აცხადებს აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტების მიღებას, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

უნიკალური შესაძლებლობა, რომელსაც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოს პროგრამები სთავაზობს ქართველ სტუდენტებს გრძელდება, ამჯერად, უკვე ახალი მიმართულებით და შესაძლებლობებით.

SDSU-ს მიზნები საქართველოში არის შემდეგი: (1) საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში და უმაღლესი განათლების მიმართულებით, რეფორმების ინიცირება და ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტებში საერთაშორისო აკრედიტაციის დანერგვა; (2) მიღწეული შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ქართველი ლექტორების გადამზადება და სასწავლო აუდიტორიების და ლაბორატორიების განახლება; (3) STEM განათლების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ქვეყნის მასშტაბით და მაღალკვალიფიციური მეცნიერების და ინჟინრების მომზადება, სოციალურად დაუცველ ჯგუფებსა და ტექნიკურ დარგებში ქალთა მონაწილეობაზე აქცენტირებით.

ამ მიზნებით და საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საქართველოში პირველად, განხორციელდა ამერიკის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ მხარდაჭერილი მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტი. საქართველოში განათლების საერთაშორისო სტანდარტების დასანერგად, ამერიკის 28 სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის შეირჩა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ექვსი საბაკალავრო პროგრამა იყო სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების თანმდევი პროცესი, რათა გამოცდილების გაზიარება მომხდარიყო უშუალოდ პრაქტიკაში.

შესაბამისად, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს მიერ შემოთავაზებულ პროგრამებს 2023 წლამდე ეყოლება 600-ზე მეტი კურსდამთავრებული, რომელთა წარმატებული საქმიანობა ასევე ხელს შეუწყობს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე STEM უმაღლესი განათლების წვლილის წარმოჩენას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. პარტნიორი უნივერსიტეტების 100-ზე მეტი პროფესორი, რომელთა გადამზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში სან დიეგოს უნივერსიტეტმა უზრუნველყო, ჩართულია უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ პროგრამებში და გააგრძელებს მოღვაწეობას პარტნიორ უნივერსიტეტთა მიერ პროგრამების გადაბარების შემდეგ. ასევე, 9 000 კვ.მ.-მდე ფართობის სასწავლო სივრცე და ლაბორატორიები, რომელიც პროექტის ფარგლებში გარემონტდა და აშენდა, გამოყენებული იქნება სამი პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული პარტნიორობა უნიკალურ შანსს აძლევს როგორც ერთობლივ პროგრამებში უკვე ჩართულ სტუდენტებს, ასევე მათ, ვინც პარტნიორი უნივერსიტეტების პროგრამებზე გააგრძელებს სწავლას მომავალში. ამჟამად, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო აგრძელებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, STEM პროგრამების გადაბარების და საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების მიმართულებით.

შედეგად, მიმდინარე, 2020-2021 სასწავლო წლიდან, პარტნიორი უნივერსიტეტები დაიწყებენ მიღებას ქართულ და ინგლისურენოვან STEM პროგრამებზე. აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულები მიიღებენ პარტნიორი უნივერსიტეტის დიპლომს, რომელიც აკრედიტებული იქნება ინჟინერიის და ტექნოლოგიის აკრედიტაციის საერთაშორისო საბჭოს (ABET) მიერ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე მიიღებს 30 სტუდენტს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, უკვე ჩამოყალიბდა მსოფლიოს უდიდესი პროფესიული გაერთიანების – ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოების საქართველოს ფილიალი. მიმდინარე წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე მიიღებს 30 სტუდენტს კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე. ამავდროულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გააგრძელებს ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამების შემოთავაზებას კომპიუტერულ მეცნიერებასა და ელექტრულ ინჟინერიაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020-2021 სასწავლო წლისთვის, განახორციელებს მიღებას სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვან (25 ადგილი), კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვან (10 ადგილი) და ქართულენოვან (30 ადგილი) და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის (10 ადგილი) ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცხადდა სამოქალაქო ინჟინერიის ქართულენოვანი პროგრამა (25 ადგილი), ელექტრული ინჟინერიის ქართულენოვანი პროგრამა (25 ადგილი) და კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი პროგრამა (25 ადგილი). ტექნიკური უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვან (5 ადგილი) და ქართულენოვან პროგრამას (40 ადგილი), რომელიც ასევე ჩართულია ABET აკრედიტაციის პროცესში.

ამავდროულად, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გასცემს ამერიკულ დიპლომს სტუდენტებზე, რომლებიც 2019-2020 სასწავლო წლის ჩათვლით ჩაირიცხნენ პარტნიორულ პროგრამებზე.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო 2023 წელს შეასრულებს საქართველოში მოღვაწეობის 10 წელს. ამ დროისთვის, პარტნიორი უნივერსიტეტების უმაღლესი განათლების STEM პროგრამებს მოპოვებული ექნებათ ABET აკრედიტაცია.

– საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამებს (შესაბამისად – აბიტურიენტთა მიღებას), რომელთა განხორციელებაც სან დიეგოს უნივერსიტეტმა დაიწყო, 2014-15 სასწავლო წლიდან, წელს, თსუ, ილიას უნივერსიტეტი და სტუ გააგრძელებენ. ითქვა, რომ აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები ორი უნივერსიტეტის (ქართული და ამერიკული) დიპლომებს მიიღებენ. ეს მომავალშიც ასე გაგრძელდება, თუ მხოლოდ წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შეეხება?

– სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო, როგორც STEM დარგებში უმაღლესი განათლების საერთაშორისო პროექტი, შემუშავდა და ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი მეორე კომპაქტის ფარგლებში. 140 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის მეორე კომპაქტს ხელი მოეწერა 2013 წელს და მისი მიზანი იყო საქართველოში სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ხუთწლიანი კომპაქტი დასრულდა 2019 წლის ივლისში და ამჟამად, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო ფუნქციონირებს პარტნიორი უნივერსიტეტების აკრედიტაციის და სერტიფიკაციის მხარდაჭერის რეჟიმში. ერთობლივი მუშაობის შედეგად, პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ გაცემულ დიპლომს ექნება საერთაშორისო აკრედიტაცია, ხოლო მათ მიერ მიღებული სტუდენტები დაასრულებენ ABET აკრედიტებულ პროგრამებს.

ამავდროულად, განიხილება ორმაგი დიპლომის დამატებითი პროგრამების ინიცირება. აღნიშნული ექვემდებარება სანქცირებას შესაბამისი სააკრედიტაციო ორგანოების მიერ: საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტების კანცლერის ოფისი და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ორგანო – დასავლეთის სკოლების და კოლეჯების ასოციაცია (WASC).

– რა ფორმით გააგრძელებს ფუნქციონირებას საქართველოში სან დიეგოს უნივერსიტეტი ან გააგრძელებს კი? რატომ გადაიხედა უნივერსიტეტის იმ ფორმით არსებობა, როგორც თავის დროზე მოხდა მისი წარდგენა?

– 2014 წლიდან, სან დიეგო სახელმწიფო უნივერსიტეტის მოღვაწეობა საქართველოში ემსახურება რამდენიმე მიზანს, მათ შორის, საერთაშორისო აკრედიტაციის და თანამედროვე STEM პროგრამების შემოტანას და დანერგვას ქვეყანაში. მიღწეული შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, ის ცოდნა, რომელიც ქვეყანაში არსებობს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ამერიკული პროგრამების სახით, გადაეცეს ადგილობრივ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომლებსაც არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ და დღესაც მაღალი რეპუტაციით და სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობენ. ამას გარდა, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო ჩართულია მრავალმხრივ მოლაპარაკებებში საქმიანობის დამატებითი მიმართულებებით გავრცელებასთან დაკავშირებით.

2018 წელს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა აშშ-ში აირჩია რიგით მეცხრე მუდმივი პრეზიდენტი, რომელიც პირველი ქალია ამ პოზიციაზე. პრეზიდენტ ადელა დე ლა ტორეს ხედვა არის მომავალი გლობალური მოქალაქეების, მაღალეთიკური ინოვატორების და პასუხისმგებლობის მქონე ლიდერების პროფესიული აღზრდა. ასევე, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი საერთაშორისო ინტერესები და გლობალური იდეები. პრეზიდენტმა არაერთხელ გამოხატა სან დი-

უმაღლესი განათლება

ეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს წარმატებული საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, ადელა დე ლა ტორე პრეზიდენტად დანიშვნის პირველი 100 დღის განმავლობაში ეწვია საქართველოს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის გასაცნობად. პრეზიდენტი დაესწრება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს 2020 წლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ცერემონიასაც, რაც მისი მესამე ვიზიტი იქნება საქართველოში. მას შეუერთდება მრავალრიცხოვანი დელეგაცია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მათ შორის, უნივერსიტეტის პროვოსტი, ასოცირებული პრეზიდენტი გლობალური ურთიერთობების დარგში და მეცნიერების და ინჟინერიის სკოლების დეკანები და აკადემიური მიმართულებების თავმჯდომარეები. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები გამართავენ შეხვედრებს საქართველოს მთავრობასთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან, მომავალი პარტნიორობის დამატებით შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა რამდენიმე თვის წინ ჩამოაყალიბა „მსოფლიო კამპუსი“, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის მისიას, გახდეს გლობალური ლიდერი ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით. „მსოფლიო კამპუსი“ გაამარტივებს განათლებაზე წვდომას მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს კამპუსი, როგორც წარმატებული საერთაშორისო პროექტის მაგალითი, მნიშვნელოვან აქტივად მოიაზრება „მსოფლიო კამპუსის“ საქმიანობაში.

ამავდროულად, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა წამოიწყო ახალი პროექტი „STEM კვლევის და სადოქტორო საფეხურის განათლების მხარდაჭერა საქართველოში“, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში ამერიკის საელჩოს და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. პროექტის მიზანია, გააუმჯობესოს ქართველ მეცნიერთა კვლევის უნარები, დასავლური მეთოდოლოგიების, სტატისტიკური მიდგომების და სტანდარტების შესწავლით. ქართველი მკვლევრები მიიღებენ უნიკალურ შანსს გაიარონ მოკლევადიანი კურსი, ან გააგრძელონ კვლევითი საქმიანობა აშშ-ში, სან დიეგოს უნივერსიტეტში.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მადლობას უხდის ამერიკის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას, ათასწლეულის გამოწვევის ფონდ საქართველოს, საქართველოს მთავრობას და უნივერსიტეტის საჯარო და კერძო პარტნიორებს. მათი კონტრიბუციის დახმარებით, 800-მდე სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა, ქვეყნიდან გასვლის გარეშე ესწავლა ამერიკულ პროგრამებზე. მრავალრიცხოვან პარტნიორთა დახმარებით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო აგრძელებს მუშაობას პროექტის თავდაპირველი და მიმდინარე მიზნების მისაღწევად. კერძოდ, გრძელდება თანამშრომლობა პარტნიორ უნივერსიტეტებში საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების დასანერგად, ხორციელდება გადამზადების პროგრამა აკადემიურ ინსტიტუტებში არსებული ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებისთვის, მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-შენარჩუნების გამოცდილების გაზიარება პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის, ხორციელდება ახალი პროექტი ახალგაზრდა მკვლევართა და მეცნიერთა უნარების და მათთვის საერთაშორისო გამოცდილების შესაძლებლობების შესაქმნელად და მიმდინარეობს მოლაპარაკებები სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ტექნიკური მიმართულებების მიღმა გავრცობასთან დაკავშირებით.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

ინფორმაცია

რესურსცენტრების წარმომადგენლები პროფესიული განათლების სიახლეებს გაეცნენ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეებმა – **თამარ ქიტიაშვილმა** და **ეკატერინე დგებუაძემ** რესურსცენტრების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს. ერთ-ერთ მთავარ განსახილველ საკითხს პროფესიულ განათლებაში არსებული სიახლეები წარმოადგენდა. რესურსცენტრების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირების მიზნების, მიდგომისა და დანერგვის მიმდინარეობის შესახებ.

თამარ ქიტიაშვილი დამსწრე საზოგადოებას „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის შესახებ ესაუბრა, რომლის მიხედვითაც, იქმნება შესაძლებლობა, საბაზო განათლების მქონე სტუდენტებმა პროფესიული და ზოგადი განათლება ინტეგრირებულად მიიღონ.

მიმდინარე წელს, პროფესიული განათლების სისტემა პირველად მიიღებს სტუდენტებს, რომლებსაც, პროფესიის შესწავლის პარალელურად, ზოგად განათლებასაც შესთავაზებს. განათლების სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ასრულებს მოსამზადებელ ფაზას, რომელიც 2016 წლიდან მიმდინარეობს. აღნიშნული ინიციატივის დანერგვისთვის შექმნილია შესაბამისი საკანონმდებლო-მარეგულირებელი საფუძვლები და აქტიურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების განვითარება.

ბოლო 15 წლის განმავლობაში, სავალდებულო საბაზო განათლების (9 კლასი) დასრულების შემდეგ, მოზარდებს ორი არჩევანი ჰქონდათ – სწავლა გაეგრძელებინათ საშუალო საფეხურზე ან პროფესიული განათლების მიმართულებით, რომელიც მათ მხოლოდ პროფესიისთვის ამზადებდა. „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის ფარგლებში კი, ამგვარი პროგრამების ხანგრძლივობა 3 წელი იქნება და კურსდამთავრებულები სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომებს მიიღებენ.

თამარ ქიტიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს განუმარტა, რომ ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებას 2020 წლის გაზაფხულზე 7 კოლეჯი დაიწყებს, ხოლო საშემოდგომო მიღებისთვის მასშტაბი გაფართოვდება და მომდევნო წლებში სისტემურ სახეს მიიღებს.

მოზარდებში დანაშაულის პრევენციისთვის

საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ეკატერინე დგებუაძემ** სკოლებში დანაშაულის პრევენციის საკითხზე უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას იუსტიციის მინისტრის მოადგილე **მიხეილ სარჯველაძე**, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი **თათია ხოჭოლავა**, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მხარეებმა, შეხვედრის ფარგლებში, ქცევისა და ემოციური დარღვევების მქონე ბავშვთა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებისა და სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისების განვითარების საკითხებზე იმსჯელეს. ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემას სამტრედიის №15 საჯარო სკოლა-პანსიონი წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს კანონის შესაბამისად, ნახევრად დახურული ტიპის ინსტიტუციის ფუნქციას დაკარგავს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოსწავლეებს ალტერნატიულ სერვისებს შესთავაზებს.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი არასრულწლოვნებში ქცევის კორექციისა და რეაბილიტაციის პროგრამების განვითარებას უჭირავს. ამ მიმართულებით კი, მნიშვნელოვანია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა. ეკატერინე დგებუაძემ ხაზი გაუსვა რთული ქცევის მქონე მოსწავლეთა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობას, ასევე, დანაშაულის პრევენციის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მუშაკის როლის გაძლიერებაზე იმსჯელა.

შეხვედრის ბოლოს მხარეებმა სახელმწიფო უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის გამოთქვეს მზაობა და, რიგი საკითხების დეტალურად განხილვის მიზნით, სამომავლო შეხვედრებიც დაგეგმეს.

სსიპ - ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლა-პანსიონი საქართველოში ერთადერთი არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაა, სადაც მოცემული მომენტისთვის ირიცხება 9 არასრულწლოვანი (ბიჭი). საქართველოს განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროს შესაბამისი სამსახური, ასევე, მულტიდისციპლინური გუნდი მუდმივ მონიტორინგს უწევენ სამინისტროს მიერ დაფუძნებულ ყველა სკოლა პანსიონში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესს, მათ შორის სსიპ - ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლასაც.

საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსი

საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის რეგისტრაცია **9 მარტის 10:00 საათიდან დაიწყო და 26 მარტის 18 საათზე დასრულდება**.

მსურველები რეგისტრაციას გაივლიან ელექტრონულად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე – online.naec.ge

რეგისტრაციის გავლამდე ცენტრის ვებგვერდზე – www.naec.ge გამოქვეყნდება გზამკვლევი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომელშიც დეტალური ინფორმაცია იქნება საერთო სამაგისტრო გამოცდის შესახებ, ასევე სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალი.

*განსხვავებით 2017-2019 წლებისგან, 2020 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების **მსურველები შეირჩევიან მხოლოდ ერთი ტიპის ტესტით** , რაც სრულად მოხსნის პროგრამების არჩევასა და მობილობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ტესტი კვლავ შედგენილი იქნება 4 ნაწილისგან: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.*

ტესტურ დავალებათა ნიმუშები იხილეთ ბმულზე:
https://naec.ge/#/ge/post/2083

ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი

მსოფლიო ბანკი ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასაც.“

საქართველოში განათლების სისტემის განვითარებისთვის, მსოფლიო ბანკი 102.7 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს განახორციელებს. „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ – ასე ჰქვია პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ხარისხიანი განათლებისა და ხელსაყრელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის გზით.

4 მარტს პროექტის განხორციელების დეტალები განიხილეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა**, სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა, **სებასტიან მოლინეუსმა**, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა: გლობალური განათლების მენეჯერმა, **ჰარი პატრინოსმა**, სამხრეთ კავკასიის, ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამის ლიდერმა, **ლირე ერსადოსმა**, განათლების პროგრამის ხელმძღვანელმა, **სორენ ნელემანმა**, განათლების უფროსმა სპეციალისტმა, **ნინო ქუთათელაძემ**.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს საქართველოს განათლების სისტემის უპრეცედენტო მხარდაჭერისთვის, ყველა განხორციელებული და მიმდინარე პროექტისთვის. მისი თქმით, 102.7 მილიონიანი ექვსწლიანი პროექტის მდგრადი განვითარებისათვის შეიქმნება საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც დაფინანსებას საქართველოს განათლების წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად წარმართავს. ამგვარი გამოწვევები კი, განათლების ყველა საფეხურზე არსებობს როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. მან უმაღლესი განათლების მიმართულებით მიმდინარე რეფორმაზეც ისაუბრა, კერძოდ, შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების ახალ მოდელს შეეხო, რომლის დახვეწა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების ჩართულობით აქტიურად მიმდინარეობს.

სებასტიან მოლინეუსის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორცილების პროცესი კოორდინირებულად წარიმართოს როგორც მთავრობის, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ჩართულობით. მისი თქმით, მსოფლიო ბანკი საქართველოში განათლების ხარისხის ამაღლებას ადამიანური კაპიტალის განვითარებით შეუწყობს ხელს.

5 მარტს, მიხეილ ჩხენკელმა და სებასტიან მოლინეუსმა



ოფიციალურად განაცხადეს ახალი პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ დაწყების შესახებ, რომელიც ხუთ ძირითად მიმართულებას აერთიანებს:

❖ სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

❖ სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;

❖ უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის გაუმჯობესება;

❖ სისტემაში მონაწილე მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;

❖ პროექტების მენეჯმენტის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება.

„დღევანდელი ღონისძიება არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმ თანამშრომლობისა, რომელსაც სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. განსაკუთრებული ყურადღება მსურს გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფი 1992 წლიდან არის საქართველოს წამყვანი პარტნიორი. მსოფლიო ბანკის ჯგუფის პარტნიორობის ჩარჩო ითვალისწინებს საქართველოს მიმართ მხარდაჭერას შემდეგი სამი მიმართულებით: ინკლუზიური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, ინვესტირება ადამიანური კაპიტალის მიმართულებით და ქვეყნის მდგრადობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულებები კი ზედმიწევნით პასუხობს ქვეყნის ძირითად საჭიროებებს.“ – განაცხადა განათლების მინისტრმა.

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სებასტიან მოლინეუსი ამბობს, რომ ინოვაციური, ინკლუზიური და მაღალი ხარისხის განათლება აუცილებელია ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის. *„გვჯერა, რომ ეს შესაძლებელს გახდის იმ სხვაობის შემცირებას, რომელიც სწავლის შედეგებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის არსებობს კადრების კვალიფიციურობის თვალსაზრისით. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობის განვითარებას.“*

პრეზენტაციაზე მსოფლიო ბანკის გლობალური განათლების მენეჯერმა ჰარი პატრინოსმა განაცხადა:

„მოხარული ვარ, რომ საქართველოსთან თანამშრომლობით ახალ პროექტს ვიწყებთ, რომელიც განათლების ხარისხის ზრდას და უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციას, ზოგადად, ადამიანური კაპიტალის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ პროექტის დაფინანსებით ჩვენ ვეხმარებით საქართველოს მთავრობას რეფორმების განხორციელებაში განათლების ყველა საფეხურზე.“

იმავე დღეს, განათლების მინისტრმა იმ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს უმასპინძლა, რომლებიც, სამინისტროსთან ერთად, განათლების სფეროს განვითარებისთვის არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებენ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), USAID-ის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), ბრიტანეთის საბჭოს, ფრანგული ინსტიტუტისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა, სორენ ნელემანმა ახალი პროგრამის პრეზენტაცია გამართა. „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ საქათველოში განათლების სისტემის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრისას მიხეილ ჩხენკელმა განათლების ყველა საფეხურზე მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა ამ პროცესში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობას: *„ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული განათლების რეფორმაში. შეხვედრაზე განვიხილეთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით ვახორციელებთ. ამ პროექტის ფინანსური ნაწილი 102 მილიონ დოლარს შეადგენს და იგი მოხმარდება როგორც საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ასევე ხარისხის ამაღლებას განათლების ყველა საფეხურზე. შეხვედრაზე დონორ ორგანიზაციებს შევთავაზეთ, პროდუქტიული თანამშრომლობა მრგვალი მაგიდის ფორმატში გავაგრძელოთ, რაც მათ საშუალებას მისცემს, თავიანთი საქმიანობა საქართველოს განათლების სისტემის განვითარებისათვის კოორდინირებულად წარმართონ.“*

სებასტიან მოლინეუსი ამბობს, რომ ეს პროექტი შეუწყობს ხელს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და მნიშვნელოვან შედეგს მოიტანს საქართველოს განათლების სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით, დაეხმარება სამინისტროს საშუალო და გრძელვადიანი რეფორმების განხორციელებაში. *„მოხარული ვარ, რომ საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის თანამშრომლობით ახალი პროექტი „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ იწყება. ჩემი აზრით, ახალ პროექტს სამი საკვანძო კომპონენტი აქვს: პირველი, იგი მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს განათლების ხარისხი, მეორე, გაზარდოს პედაგოგთა კვალიფიკაცია, მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური და მაღალი მოტივაციის მქონე პედაგოგების როლი განათლების სისტემაში, რომლებსაც საერთაშორისოდ აღიარებული პედაგოგიური მიდგომებით შეუძლიათ სწავლება. და მესამე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვა. ჩვენ განვაახლებთ 60 სკოლას თანამედროვე სტანდარტების მიხედვით. აგრეთვე, ავაშენებთ ახალ სკოლებსაც. პროექტის ფარგლებში ყურადღება მიექცევა*

პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ ფარგლებში, ყურადღება გამახვილდება პედაგოგიკასა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური პრინციპების დანერგვაზე, ხარისხსა და ინოვაციებზე სკოლამდელ, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროექტის უშუალო ბენეფიციარებს შორის არიან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაციის თანამშრომლები.

განათლების სისტემის განვითარების მხარდამჭერი აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ქვეყნის მომზადებას 21-ე საუკუნის შრომითი ბაზრისა და ეკონომიკისთვის. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში პროექტის ინფრასტრუქტურული კომპონენტი უზრუნველყოფს ხუთი ახალი სკოლის მშენებლობას, დაახლოებით 60 არსებული სკოლის რეაბილიტაციას, ასევე, სკოლისთვის მოსამზადებლად ბავშვზე ფოკუსირებული და თანამედროვე სკოლამდელი განათლების 150-ზე მეტი პროგრამის დანერგვას. მთლიანობაში, პროექტი სარგებელს მოუტანს სკოლამდელი ასაკისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, დაახლოებით, 116 000 მოსწავლეს.

პროექტი, ასევე, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პრინციპებით მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების (სოფლებისა და მაღალმთიანი რეგიონების დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეების), ეთნიკური უმცირესობებისა და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი განახლებული აკადემიური პროგრამებისათვის გამოყოფილი 45-მდე გრანტის მეშვეობით, პროექტი ასევე დახმარებას გაუწევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს.

პროექტი „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობის 2019-2022 წლების სტრატეგიასთან და ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას, 2018-2023 წლებში, განათლების რეფორმის განხორციელებაში. პროექტი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 2019 წლის 29 მაისს დაამტკიცა და დაფინანსების ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა იმავე წლის 18 ივნისს.

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

სახალხო დამცველის ანგარიში

როგორ ვიცავთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებებს სასამართლო პროცესზე

სახალხო დამცველმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვის სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა.

„კვლევის მიზანი იყო სასამართლო სხდომებზე დაკვირვების გზით, შეფასებულიყო სასამართლო განხილვის პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფ და მოწმე/დაზარალებულ ბავშვთა უფლებების დაცვის ხარისხი.“ – აცხადებს ნინო ლომჯარია.

სასამართლო განხილვების მონიტორინგი, 2019 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით, სამ დიდ ქალაქში ჩატარდა – თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში. ანგარიშის მიხედვით, კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტები.

„დადებით კონტექსტში *უნდა შეფასდეს ის, რომ როგორც წესი, ყველა მონაწილე სუბიექტი არასრულწლოვან ბრალდებულთან, დაზარალებულთან და მოწმესთან შემხებლობაში არის სპეციალიზირებული. მათ აქვთ სპეციფიკური ცოდნა, რაც საჭიროა ბავშვთან კომუნიკაციაში. განსაკუთრებით დადებითად გამოავლინა თავი რამდენიმე მოსამართლემ, პროკურორმა და ადვოკატმა, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ ესაუბრათ ბავშვთან მისთვის გასაგები ფორმით და ენით, პროცესის მთავარ სუბიექტად წარმოეჩინათ არასრულწლოვანი და ყოფილიყვნენ მისი საუკეთესო ინტერესის დაცვაზე ორიენტირებულნი.“* – ვკითხულობთ ანგარიშში.

თუმცა, სამწუხაროდ, კვლევამ ნეგატიური მხარეებიც აღმოაჩინა და ისიც დადგინდა, რომ მუხედავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა და მიდგომებისა, პრაქტიკა მაინც არაერთი ხარვეზით ვითარდება.

ნეგატიურ კონტექსტში, ანგარიშის მიხედვით, შეფასებულია კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ნომინალური მონაწილეობა სასამართლო განხილვის ეტაპზე, ასევე ფსიქოლოგების ჩართულობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი. *„არ არსებობს უწყებაც, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფსიქოლოგებისა და საპროცესო წარმომადგენლების (როგორც წესი, სოციალური მუშაკების) გადამზადებაზე (სპეციალიზაციაში). ხშირი იყო სასამართლო სხდომების გადადებისა თუ დაგვიანების ფაქტები. რიგ შემთხვევებში, გამოვლინდა პროცესის მონაწილე სუბიექტების კვალიფიკაციისა თუ სათანადო უნარ-ჩვევების ნაკლებობის მაგალითები. ასევე, პროცესის მონაწილე პირების მხრიდან არ არის დამაკმაყოფილებელი საერთაშორისო პრინციპების ცოდნისა თუ გამოყენების, ასევე სათანადოდ დასაბუთების ხარისხი.“* – ვკითხულობთ ანგარიშში.

სასამართლო მონიტორინგის ერთ-ერთი აქცენტი ინფრასტრუქტურაზე გაკეთდა, რამაც არც თუ სახარბიელო სურათი გამოავლინა – *„სასამართლო შენობებში არ იყო ყოველთვის დაცული ბავშვის პერსონალური ინფორმაცია/კონფიდენციალურობის პრინციპი. პირობები და გარემო არ არის ყოველთვის ბავშვზე მორგებული და იგი, როგორც წესი, დამთრგუნველია (რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამ მიმართულებით გაცილებით პოზიტიური ვითარებაა და ამაზეც ხაზგასმაა ანგარიშში). სამწუხაროდ, სასამართლოს ინფრასტრუქტურა შშმ ბავშვებისთვის არ არის ადაპტირებული და ასევე აღკვეთის ღონისძიების სახით – პატიმრობაშეფარდებული არასრულწლოვანები არ თავსდებიან სტანდარტების დაცვით მოწყობილ ოთახებში.“*

წარმოდგენილმა ანგარიშმა ცხადად აჩვენა, რომ:

✔ სასამართლოების ინფრასტრუქტურა უმეტესწილად არ არის მზად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელებისთვის. სასამართლოებში არ არის დაცული კონფიდენციალურობის პრინციპი, არ არის შექმნილი გარემო, რომელშიც ბავშვს მაქსიმალურად კომფორტულად, არადათრგუნულად და დაცულად აგრძნობინებდა თავს.

✔ ხშირია სასამართლო განხილვების სხვადასხვა მიზეზით გადადებისა თუ სასამართლო პროცესის დაგვიანებით დაწყების შემთხვევები. პროცესში მონაწილე პირების კვალიფიკაცია და უნარები ხშირად არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და არ არის ორიენტირებული ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე.

✔ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან ყოველთვის გასაგები ფორმითა და ენით არ ხდებოდა კომუნიკაცია. მათი კანონიერი უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით არ ხდებოდა ყველა საჭირო ინფორმაციის, უფლება-მოვალეობის მარტივად, გასაგებად და დეტალურად განმარტება. თარჯიმნების კვალიფიკაცია თუ გულისხმიერება, რიგ შემთხვევებში, საეჭვო იყო.

✔ დამკითხავი პირის მხრიდან არ არის უზრუნველყოფილი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა და მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, რათა სასამართლოზე ბავშვისგან ინფორმაციის/ჩვენების მიღება განხორციელდეს მისთვის ნაკლები ზიანის მიყენების ფონზე, არ მოხდეს მისი რეტრავმატიზაცია, რაც შედეგად სანდო და მდიდარი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას წარმოადგენს. საპირისპიროდ, ხშირად არ ხორციელდება ბავშვთან ახლო, ნდობითი ურთიერთობის დამყარება, ასევე მისი აღელვებისა თუ გადაღლილობის დროს არ ხდებოდა შესვენებების გამოყენება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სახეზე იყო ცრემლები, შფოთვა და სხვ.

ანგარიშში საუბარია იმაზეც, რომ სასამართლოზე სტრესული იყო *„დაკითხვის პროცესი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი, მოსამართლე და ბრალდებულის ადვოკატი ახდენდნენ გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ბავშვის მხრიდან სასურველი პასუხების მისაღებად, იყენებდა რა მიმართულების მიმცემ/ჩამაგონებელ შეკითხვებს. ხშირი იყო ბავშვების დადანაშაულება და მათი ტრავმატიზაციის მცდელობა. ნახევარზე მეტ შემთხვევაში განხორციელდა მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის დადანაშაულება, თუ რატომ არ მიმართა დახმარებისთვის შესაბამის პირს/უწყებას და რომ მათ წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებაში თავად ისინი არიან დამნაშავენი.“*

„აღნიშნული ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაკითხვის პროცესის ხარისხის კონტროლის/მონიტორინგის მიმართულებით და საჭიროა დაკითხვის მწარმოებელი პროფესიონალების მუდმივი გადამზადება“ – აცხადებს ნინო ლომჯარია.

სახალხო დამცველი, პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობასთან ერთად, საქართველოს მთავრობას აძლევს რეკომენდაციებს, რომლის შესრულებაც, მისივე აზრით, ნამდვილად უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას და ისეთი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, რომელიც უპასუხებს საერთაშორისო სტანდარტებს. სახალხო დამცველის რეკომენდაციებს შორის მოხვდა პროკურორთა კვალიფიკაციის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – სპეციალიზაცია) და ხარისხის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება, ადვოკატთა გადამზადების განგრძობადი სისტემის შექმნა და საპროცესო წარმომადგენლის სტატუსით მოსარგებლე სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციაზე ზრუნვა.

ომბუდსმენის აპარატში განაცხადეს, რომ პროექტი განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და ა(ა)იპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

გაცნობის პოზიტიური მაგალითი
(ამონარიდი ანგარიშიდან)

პროკურორი: რომელ სკოლაში სწავლობ (სახელი)? და რომელ კლასში ხარ?
დაზარალებული: მე-12-ში გადავედი.
პროკურორი: ანუ წელს ამთავრებ და აბარებ ხომ?
დაზარალებული: დიახ;
პროკურორი: რაზე გინდა რომ ჩააბარო?
დაზარალებული: ტურიზმზე ვფიქრობ;
პროკურორი: ანუ ეს სფერო არის, რაც გაინტერესებს და რასაც გაყვები და საბოლოო ჯამში, რა მიმართულებით? ჰობი რა არის შენი?
დაზარალებული: ცეკვა მიყვარს;
პროკურორი: ქართული ცეკვა თუ..?
დაზარალებული: ქართული.
პროკურორი: ძალიან კარგი. (სახელი) მოგეხსნა დაძაბულობა თუ კიდევ ნერვიულობ?
დაზარალებული: ვნერვიულობ.
.....
პროკურორი: (სახელი) მე დაგისვამ რამდენიმე შეკითხვას და შენ რაც იცი ზუსტად გამეცი იმაზე პასუხი, არ შეეცადო, რომ გამოიცნო პასუხი, ან არ გქონდეს იმის შიში, რომ ვაიმე ამას თუ ვერ გავცემ პასუხს დიდი პრობლემა შეიქმნება. აი მაგალითად, მე რომ დაგისვა კითხვა რა ჰქვია ჩემს ძაღლს, იცი? არა ხო? შესაბამისად არც უნდა შეეცადო, რომ მიპასუხო და გამოიცნო. შესაბამისად, რაც იცი ფაქტთან დაკავშირებით მიპასუხე. თუ რამე არ გახსოვს იმაზეც დააფიქსირე, რომ არ გახსოვს.

ინფორმაცია

1 ივნისიდან მშობლებს საკუთარი შვილების ონლაინ საფრთხეებისგან დაცვის შესაძლებლობა ექნებათ

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, ინტერნეტში ბავშვებისა და მოზარდების საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან დაცვის მიზნით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, დებულება დაამტკიცა და საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების წესები განსაზღვრა.

გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში 1 ივნისიდან შევა, გარკვეული ვალდებულებები დაეკისრება როგორც ინტერნეტ პროვაიდერ კომპანიებს, ისე ვებგვერდების მფლობელ კომპანიებსაც. შესბამისად, 1 ივნისიდან, მშობლებს საკუთარი შვილების ონლაინ საფრთხეებისგან დაცვის შესაძლებლობა ექნებათ, რადგან მსგავსი ტიპის საფრთხეების შეფასებასა და შემცირებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ მშობელს აკისრია.

იმისთვის, რომ მშობლებს საფრთხეების შემცირების ეფექტური მექანიზმი ჰქონდეთ, ერთი მხრივ, ინტერნეტ პროვაიდერ კომპანიებს დაეკისრათ ვალდებულება, შეიმუშაონ ისეთი მექანიზმები, რომლის საფუძველზეც, შესაძლებლობა ექნებათ, კონკრეტული (აბონენტის) მშობლის მოთხოვნით, შეზღუდონ ისეთ ვებგვერდებზე წვდომა, რომელიც საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის.

მეორე მხრივ, კომისიამ ვებგვერდების მფლობელ კომპანიებს დააკისრა ვალდებულება, საკუთარ ვებგვერდებს მიანიჭონ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდება, კერძოდ, რომელი ასაკობრივი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი მათ ვებგვერდზე განთავსებული აუდიო-ვიზუალური პროდუქცია. ამის გარდა, ინტერნეტში ბავშვების მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით, კომუნიკაციების კომისია ბავშვებისთვის საფრთხის შემცველი ინტერნეტ ვებგვერდების სპეციალური სარეიტინგო სიის შედგენასა და საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებასაც გეგმავს, რომელიც ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიების მიერ, კვირაში ერთხელ, განახლდება. ინტერნეტში უსაფრთხოდ ნავიგაციისთვის კი, დამატებით, საკუთარი ინიციატივით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, კომისია ინტერნეტ ვებგვერდების მონიტორინგსაც განახორციელებს.

კომუნიკაციის კომისიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წესების დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრება.

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

ФОРМИРОВАНИЕ КОММУНИКАТИВНОЙ КОМПЕТЕНЦИИ УЧАЩИХСЯ В УСЛОВИЯХ БИЛИНГВАЛЬНОЙ СРЕДЫ

БАЛАСАНЯН МАРИАННА АЛЬБЕРТОВНА,
кандидат филологических наук, старший преподаватель публичной школы №2 г. Ахалцихе

Одним из условий создания инновационной системы преподавания иностранных языков является использование технологий, направленных на усовершенствования языковой компентенции. Перед преподавателями стоит задача обеспечить формирование умений и навыков освоения языка в различных коммуникативных ситуациях и предоставить детям возможность творческого самовыражения. Особое наполнение получает этот процесс в условиях билингвизма, ставшего обычным явлением в современном обществе.

С развитием речевой компентенции развивается и сфера нравственности, чувств и эмоций. Нравственное просвещение невозможно без слова. Эмоциональное развитие личности также связано с развитием речи, а именно с развитием таких сторон языковой способности, как чувство языка (умение неосознанно, но правильно пользоваться речью), языковая интуиция, восприимчивость к выразительности речи, к оттенкам поэтической речи, к тонким нюансам многозначности слова.

Развитие речи сопряжено с развитием памяти, поскольку для эффективной речевой деятельности надо запоминать написание многих слов, обогащать словарь, помнить значение слов. Важно удерживать в памяти и быстро извлекать из нее большое количество речевых оборотов, так называемых клише и стереотипов, которые мы используем почти не задумываясь в типичных ситуациях общения.

Как реализовать столь сложные задачи в процессе обучения языку в условиях билингвизма?

Развитие речи определяется потребностью ребенка в общении. На протяжении всего детства ребенок интенсивно осваивает речь.

Ключом к объяснению успешности/неуспешности вербальной коммуникации выступает выявление специфики индивидуального функционирования языкового знания в сознании языковой личности. При взаимодействии в сознании нескольких языковых систем – это еще и условие успешности межкультурной коммуникации. Вербальная организация человека в условиях билингвизма представляет особый интерес.

А.А. Потебня еще в конце XIX в. писал, что „акт сознания субъекта выступает в качестве произвольного от языковой структуры, которая объективна и не зависит от индивидуальных свойств личности и понимание которой обусловлено принадлежностью к одному и тому же народу“.

Ошибочным было бы полагать, что в условиях билингвизма и полилингвизма усвоение второго, третьего и т.д. языка осуществляется за счет органичной интеграции новых языковых знаков в уже сформированный в сознании личности на основе родного языка вербально-смысловой конструкт через сопоставление значений слов, форм, структур. Овладение иностранным языкам предполагает формирование отдельной системы смысловых единиц через ментальное репрезентирование иноязычных знаков и их интеграцию с соотвествующими контексту усвоения эмоциями и образами, составляющими их психологическое наполнение.

Билингвальное воспитание – очень спорный вопрос. Есть сторонники и противники двуязычного окружения ребенка. Одни авторы считают, что ребенку необходимо сначала дать освоить один язык, а после этого обучать другому. Мотивируют при этом тем, что второй язык может помешать речевому развитию ребенка. Существует и прямо противоположное мнение, согласно которому двуязычное воспитание ребенка рассматривается как позитивное явление, которое способствует не только речевому, но и умственному развитию малыша.

Речевое развитие ребенка в условиях исскуственного билингвизма почти не отличается от его речевого развития в условиях естественного двуязычного окружения и обусловлено лишь уровнем владения языком людей, обучающих малыша. Формирование словарного запаса обоих языков зависит от того, на каком языке преимущественно общается ребенок. По всем показателям речевого, умственного и психического развития ребенок-билингв ни в чем не уступает ребенку, который воспитывался в монолингвистическом окружении.

Процессы становления языка у детей в одноязычной среде и в условиях многоязычия качественно различны. Второй язык для ребенка – это еще одна целостная языковая система, а не дополнительные языковые единицы. Детское многоязычие возможно как результат пластичных перестроек мозга под влиянием необходимости общаться на двух или нескольких языках. При освоении двух языков в раннем возрасте присутствует тенденция к одноязычию. Только сосуществование двух языковых сред, необходимых ребенку, на протяжении длительного времени приводит к двуязычию, с одной стороны, на удовлетворение важнеишей потребности в коммуникации, а с другой стороны, стремится к экономному использованию ресурсов мозга и возвращению к исходной (одноязычной) программе. Ели при одноязычии мы наблюдаем последовательное совершенствование языка у ребенка, то при многоязычии присутствуют две противоположные тенденции – совершенствование языка и его объеденение. Цель пластических перестроек, спонтанно происходящих в условиях двуязычной среды – обеспечение языковой коммуникации, необходимой в данный момент, причем сохраняется только то, что используется. Это справедливо и для второго, третьего и т.д. языков. Пластичность мозга помогает решить проблемы общения, но не открывает второй языковой канал, не запускает механизм развития второго языка.

Если исходить из того, что основными приоритетами сегодня выступает личностно-ориентированное взаимодействие педагога с ребенком, умение педагога принять и поддержать индивидуальность, интересы и потребности ребенка, развить его творческие способности, то для выполнения этих целей наиболее подходит использование инновационных технологий. Инновационные методики характеризуются новым стилем организации учебно-познавательной деятельности учеников, изменяющим как способы презентации и усвоения знаний, так и тип овладения ими. Цель таких методик – активизировать, оптимизировать, интенсифицировать процесс познания. Инновационные технологии позволяют реализовать одну из основных целей обучения языку (развитие коммуникативной личности), то есть дают возможность перейти от изучения языка как системно-структурного образования к изучению его как средства общения и мышления, а учебно-познавательную деятельность перевести на продуктивно-творческий уровень. Использование данных технологий позволяет постоянно стимулировать ребенка, развивать его способности, поощрять творческие проявления, вызывать неподдельный интерес к процессу обучения.

Личностно-ориентированные технологии ставят в центр всей образовательной системы личность ребенка, обеспечение комфортных, бесконфликтных и безопасных условий ее развития, реализацию ее природных потенциалов. Личность ребенка в этой технологии не просто субъект, а субъект приоритетный; она является целью образовательной системы, а не средством достижения какой-либо отвлеченной цели.

Технологии сотрудничества реализуют демократизм, равенство, партнерство в субъек-субъектных отношениях педагога и ребенка. Педагог и ребенок совместно вырабатывают цели, содержание, дают оценки, находясь в состоянии сотрудничества, сотворчества.

Технологии свободного воспитания делают акцент на предоставление ребенку свободы выбора и самостоятельности в большей или меньшей сфере его жизнедеятельности. Осуществляя выбор, ребенок наилучшим способом реализует позицию субъекта, идя к результату от внутреннего побуждения, а не от внешнего воздействия.

Учитывая сказанное, обратимся к экспериментальным методикам. В современной педагогической практике Германии активно используется МоК (Morgenkreis – утрений круг). П.Петерсон, известный немецкий методист, употребляет название „утрений праздник“. Мария Монтессори указывала на необходимость применения аналогичных методик, целью которых является переход от перемены (свободного времени) к началу занятия или урока и устанавливается баланс между активностью (Arbeit des Herzens – работа сердца) и концентрацией (Arbeit des Kopfes – работа головы). В МоК внимание сосредотачивается на отношениях и проблемах участников, а именно детей и педагога. МоК состоится только тогда, когда все показывают готовность общаться. Максимальная продолжительность – 15 мин. Участники садятся в форме круга, так как все должны видеть друг друга и быть открытыми. Все приветствуют друг друга по кругу, потом предлагается 30 секунд для установления тишины. Тема предлагается педагогом. Например, загадка: „Никто его не видит, но у каждого оно есть“. Затем учитель подходит к каждому участнику и продолжает: „Ты можешь его измерить!“, „Оно может убежать от тебя!“, „Ты можешь его потерять!“... Это продолжается до тех пор, пока дети не отгадают загадку. Педагог зачитывает вслух еще раз отдельные пункты, каждый раз делая паузу для того, чтобы дети глубже поняли значение. После этого участники по очереди повторяют предложения, прочитанные учителем. Все внимательно наблюдают „обратный путь“ к слову-отгадке (время): „Ты можешь его измерить!“; „Оно может убежать от тебя!“; „Ты можешь его потерять!“. Затем учат слова новой песни „Береги время“ и вместе ее исполняют. Ценным вляется то, что заданная тема повторяется и в последующие дни. В течении недели участники размышляют о том, зачем им много свободного времени и кому они хотели бы подарить часть своего времени. В конце недели создается МоК и подводятся итоги. Каждый презентует подготовленное высказывание на заданную тему. Завершается МоК исполнением выученной песни. Наблюдая за детьми, которые были вовлечены в деятельность, можно отметить, что эти дети быстрее вникают в суть изучаемого материала, чувствуют себя самостоятельными; умеют вести себя свободно с собеседником, формулировать четкие и краткие фразы, делать логические выводы, устанавливать причинно-следственные связи; проявляют друг к другу внимание, сопереживание.

Обобщая сказанное, можно сделать вывод о том, что МоК развивает познавательный интерес к различным областям знаний, дает ребенку возможность экспериментировать, синтезировать полученные знания, развивать творческие способности и коммуникативные навыки.

სწავლების მეთოდი

სწავლა თამაშით

ცნობილია, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება, თამაშის დროს ყალიბდება. განათლებისა და ფსიქოლოგიის სფეროს მკვლევრები აღნიშნავენ, რომ თამაშის წილი ადამიანის წარმატებაში ძალიან დიდია, ვინაიდან ის მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ, ისე ემოციურ და მოტორულ განვითარებასთან.

თამაში ავითარებს:

✔ სწავლის უნარს;

✔ შემოქმედებითობას და ფანტაზიას;

✔ სხვა ბავშვებისა და ადამიანებისადმი სიყვარულსა და კეთილგანწყობას;

✔ იწვევს სიხარულის ემოციას, რაც აუცილებელია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის;

✔ აყალიბებს ბაზისურ ცოდნას გარე სამყაროს მიმართ;

✔ ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას.

თამაშით სწავლება საკმაოდ ეფექტიანია სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, მაგრამ განსაკუთრებით შედეგიანია სწავლების საწყის ეტაპზე. იგი სწავლის პროცესს უფრო საინტერესოს, სახალისოს და სასურველს ხდის და ეხმარება ბავშვს ახალ გარემოსთან, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში. ცნობილია, რომ კლასში ყველა ერთნაირი მოტივაციით არ ეუფლება ცოდნას, ზოგი თავიდანვე ხალისით ებმება ამ პროცესში, ზოგთან კი მეტი ძალისხმევაა საჭირო, ამ დროს თამაში პედაგოგის მხარდამჭერია. თამაშის ქცევაში ჩამოყალიბებას იწყებს სასწავლო მოქმედებაც, რომელიც, მოგვიანებით, ქცევის წამყვანი ფორმა ხდება. მოსწავლეს უყალიბდება სწავლის უნარი და სურვილი.

თანამედროვე მათემატიკის მეთოდოლოგია ეძებს სიახლეებს, რომლის მეშვეობითაც სწავლების პროცესი უფრო აქტიური და პროდუქტიული გახდება. მათემატიკური თამაშები დაწყებით საფეხურზე – ეს ერთ-ერთი მეთოდია დასახული მიზნის მისაღწევად. დიდაქტიკური თამაშების გამოყენებით, მასწავლებელს შეუძლია, ლამაზად შენიღბოს სასწავლო ამოცანა, რათა მოსწავლე ბუნებრივად, სტრესის გარეშე დაეუფლოს ცოდნას. სასწავლო თამაშების ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, სწავლის მიმართ დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, რომელიც განსაზღვრავს მასში მოსწავლის ჩართვას. თუ დიდაქტიკური თამაშის მიმართ მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგიც აუცილებლად დადებითი იქნება. თამაშზე დაფუძნებული სწავლება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეს ნამდვილად სჭირდება, რადგან თამაშში მონაწილეობა, მოსწავლისთვის სწავლის პროცესს სასიამოვნოს ხდის და გაცილებით იმატებს გაგება-დამახსოვრების ხარისხიც.

როცა პირველი კლასის მოსწავლეებთან ციფრების შესწავლა დავასრულე, გადავწყვიტე, რაიმე საინტერესო თამაშით გამეწაფა ისინი ზეპირ ანგარიშში. რადგან პირველი კლასის მოსწავლეები ასაკით პატარები არიან და ჯერ კიდევ ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობენ, თამაშისთვის შარლ პეროს ზღაპრის – „წითელქუდას“ სიუჟეტი გამოვიყენე. შევქმენი წითელქუდას დაფა, რომელზეც მგელი და მონადირე ერთდროულად იღებს გეზს ბებიის ქოხისაკენ. ორივეს ერთნაირი მანძილი აქვთ გასავლელი, მაგრამ მიასწრებს თუ არა მგელი მონადირეს ბებიასთან, ამას კამათლები წყვეტს. თითოეული მოთამაშე, მგელიც და მონადირეც აგორებენ კამათლებს, აჯამებენ გაგორებულ ქულებს და ამ ქულის შესაბამისი ბიჯით გადაადგილდებიან დაფაზე. არა მარტო მოთამაშე წყვილი, მაყურებელი ბავშვებიც დიდი ემოციით ადევნებენ თვალს მონადირის კამათლებს, ცდილობენ სწრაფად შეკრიბონ და რაც შეიძლება მალე მივიდნენ ბებიასთან. ასევე „ბოროტი“ მგელიც გამალებით კრებს გაგორებულ რიცხვებს და მისწრაფვის ქოხისკენ. ამ თამაშში ბავშვები, წინასწარი განზრახვის გარეშე, ხალისით ეუფლებიან ზეპირ ანგარიშს. ამავე დროს, თამაში ძალიან დატვირთულია ემოციურად. აღნიშნული თამაში შეიძლება გამოკლების შესასწავლადაც გამოვიყენოთ. ამ დროს მოთამაშე გაგორებულ ქულებს აკლებს ერთმანეთს და მათი სხვაობის ტოლი ბიჯით გადაადგილდება. ასევე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ეს მეთოდი გამრავლების შესწავლის დროსაც. მოკლედ, ძალიან დიდია ჩამონათვალი იმისა, თუ რას იღებს ბავშვი თამაშისგან, მაგრამ ის ამ სარგებელს ვერ გრძნობს. ეს ჩვენ ვიცით, უფროსებმა და რაც შეიძლება ხშირად უნდა მივმართოთ მას. ბავშვს სჭირდება ჩვენი დახმარება როგორც სწავლაში, ისე თამაშში. ვითამაშოთ ბავშვებთან ერთად და გამოვიყენოთ ეს დრო სწავლებისა და გართობისათვის.

დალი ბობოხიძე
ვანის რაიონის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
მარიკა ბერიძე – თამაშების გამოყენება მათემატიკის სწავლების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე; „ახალი განათლება“ – „სასწავლო თამაშების როლი დაწყებით კლასებში“, აპრილი 10, 2019წ;
https://openscience.ge/bitstream/1/851/1/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D.pdf

ინფორმაცია

უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის სრულყოფის მიზნით

უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ნუნუ მიცკევიჩმა** სამუშაო შეხვედრა გამართა სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანს უმაღლესი განათლების შედეგებზე ორიენტირებული დაფინანსების ახალი მოდელის სრულყოფა წარმოადგენდა, უნივერსიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით.

შეხვედრას შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ნუნუ მიცკევიჩმა მათ განუმარტა, რომ უმაღლესი განათლების შედეგებზე ორიენტირებული დაფინანსების ახალი მოდელის დახვეწის პროცესში მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული თითოეული უნივერსიტეტის თავისებურება.

შეხვედრაზე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა ბოლო წლების ძირითადი შედეგები და 2019 წლის აკადემიური მიღწევები წარმოადგინეს, ასევე, გამოკვეთეს ის საჭიროებები, რაც მათ სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებას მისცემს. ისიც აღინიშნა, რომ აუცილებელია საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებული კურსდამთავრებულების აკადემიურ სივრცეში დაბრუნება, მათთვის შესაბამისი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა და, ზოგადად, სისტემაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

გარდა ამისა, ნუნუ მიცკევიჩმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სამინისტრო გეგმავს ევროკავშირის მომდევნო ჩარჩო პროგრამის – Horizon Europe-ის ამოქმედებას მომზადებული შეხვდეს. მისი თქმით, უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მონაწილეობის წარმატების მაჩვენებლის გაუმჯობესებას მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს. ამ პროცესში სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გააქტიურება კი უფრო მეტ შესაძლებლობებს გააჩენს.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებისა და დაფინანსების ახალი მოდელის სრულყოფის მიზნით, სამუშაო შეხვედრები გაიმართა როგორც ოთხი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მათ დაქვემდებარებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან, ასევე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებთან:

✔ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;

✔ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;

✔ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;

✔ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

✔ ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

შეხვედრებზე მეცნიერებმა ბოლო წლების ძირითადი შედეგები და 2019 წლის სამეცნიერო მიღწევები წარმოადგინეს, ასევე გამოკვეთეს ის საჭიროებები, მათ შორის, ინფრასტრუქტურული მიმართულებით, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევის წარსამართად.

გამოცდილება

სასწავლო პროცესში მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა ისტ-ის გამოყენებით

შემაჯამებელი გაკვეთილი
თემა: „გეომეტრიული გარდაქმნები – სიმეტრია, მობრუნება და მსგავსება“

საგაკვეთილო პროცესის სასიამოვნოდ, სახალისოდ და მიზნობრივად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციას, რადგან მოტივაცია განაპირობებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას. მოტივაციის ამაღლებაზე სისტემური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას. პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებელი, სასწავლო პროცესი, გაკვეთილის მიზნები, გაკვეთილზე მიზნის შესაბამისობაში დაგეგმილი აქტივობები – ყველაფერი ეს უნდა ითვალისწინებდეს ესგ-ის მოთხოვნებს და ემსახურებოდეს გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტეციების განვითარებას. ვიცით, დღეს რამდენად აქტუალურია ციფრული წიგნიერება, ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია მდიდარი, მრავალფეროვანი სასწავლო შინაარსი ინტერაქტიული გავხადოთ, რის შედეგადაც მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღები აღარ იქნება, არამედ ის თვითონ გაართმევს თავს სასწავლო შინაარსის მოდიფიცირებას და შექმნასაც კი.

მოსწავლეებთან ერთად დავგეგმეთ შემაჯამებელი გაკვეთილი მე-8 კლასში, თემაზე: „გეომეტრიული გარდაქმნები – სიმეტრია, მობრუნება და მსგავსება“, რომლის მიზანია, ისტ-ის გამოყენებით: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება; კლასის ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში; ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ინტერპრეტირების, პრობლემის მოგვარების, ინფორმაციის ხელსაყრელი ფორმით წარმოდგენის უნარ-ჩვევების გამომუშავება, ასევე, შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბება/განვითარების, კომუნიკაციის, კონსტრუქციული თანამშრომლობისა და სხვისი აზრის პატივისცემის; კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებით სლაიდების შექმნის უნარი.

მოსწავლეები ერთმანეთისგან შესაძლებლობებით, მზაობით, სწავლის სტილითა და აღქმის ტემპით განსხვავდებიან. თითოეულ ჯგუფში სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეები გავაერთიანე და დავალებაც შესაბამისად გადანაწილდა. თითოეულ ჯგუფში რამდენიმე ქვეჯგუფი მუშაობდა.

ჯგუფები იყენებდნენ სახელმძღვანელოებს, კომპიუტერს, ფოტოაპარატსა და ტელეფონს. მოსწავლეებმა მოიძიეს უამრავი მასალა ინტერნეტიდან, გადაიღეს უამრავი სურათი, საკითხებიდან გამომდინარე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ მიერ შეგროვებული მასალა არა მარტო მრავალფეროვანი, არამედ ძალიან საინტერესო იყო და დავალებასთან მჭიდრო კავშირში. აქ წარმოდგენილია შეგროვილი მასალის მხოლოდ ნაწილი, რეალური მიზეზებიდან გამომდინარე. ჯგუფები პრეზენტაციას აკეთებენ PowerPoint-ში.

ჯგუფური მუშაობა ზრდის მოსწავლეთა ინიციატივასა და დამოუკიდებლობის ხარისხს, მოსწავლეები იძენენ სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. სასწავლო რესურსების, კომპიუტერის, ინტერნეტის, სწავლების მსგავსი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება მოსწავლეებში ავითარებს მონაცემთა შეგროვებისა და დახარისხების უნარს, ასევე, მონაცემთა წარმოდგენის უნარს ტექნოლოგიების გამოყენებით. ბავშვი ყველაზე უკეთ მაშინ სწავლობს, როდესაც აქტიურია და ქმედითი და არა მაშინ, როდესაც მხოლოდ აქტიურ და ქმედით მასწავლებელს უყურებს. ამგვარი მუშაობით შესაძლებელი იქნება კლასის ყველა მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, რომ თითოეულმა შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება და საკუთარი შესაძლებლობის გამომჟღავნება.

მერი ჯაფარიძე
სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

I ჯგუფის საკითხები:
- სიმეტრია არქიტექტურაში;
- სიმეტრია ბუნებაში;
- სიმეტრია ჩემს ოჯახში;
- სიმეტრია დამწერლობაში.



II ჯგუფის საკითხები:
- მობრუნება ხუროთმოძღვრებაში;
- მობრუნება ბუნებაში;
- მობრუნება ჩემს ოჯახში;
- მობრუნება დამწერლობაში.



III ჯგუფის საკითხები:
- მსგავსება ცხოველებში;
- მსგავსება ფრინველებში;
- მსგავსება ბუნებაში;
- მსგავსება დამწერლობაში;
- მსგავსება ციფრებში;
- მსგავსება ჩემს ოჯახში.

სპორტი

მინდა, ერთგვარი რევოლუცია მოვახდინო ამ საგანში

ინტერვიუ წლის საუკეთესო სპორტის მასწავლებელთან

რამდენიმე დღის წინ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ცალკეულ საგნებში საუკეთესო პედაგოგები გამოავლინა. სპორტის საუკეთესო მასწავლებლად ქარელის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი ზურაბ ჯუშოშვილი დასახელდა, რომელიც საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. მასთან ინტერვიუ დაგარწმუნებთ, რომ ეს წოდებაც შემთხვევით არ მიუღია – აღიარებას და დაფასებას სწორედ ასეთი შემოქმედი და მუდამ სიახლის მაძიებელი ადამიანები იმსახურებენ. დარწმუნებული ვარ, მის ნოვაციებს ბევრი კოლეგა გადაიღებს, ქვეყანაში კი, რაც უფრო მეტი სპორტის ასეთი პედაგოგი გვეყოლება, მით მეტი შანსია, „აქილევსის ქუსლად“ ქცეულ სპორტის გაკვეთილებს და კიდევ უფრო დიდ პრობლემას – ცხოვრების მივიწყებულ ჯანსაღ წესსაც ვუშველოთ. არადა, ქვეყანა უკვე დგას ამ გამოწვევის წინაშე, საშველი კი ჯერ არსაიდან ჩანს.

– თავდაპირველად, აღიარებას გილოცავთ. რამდენად ელოდით და როგორ ფიქრობთ, რის გამო გამოგარჩიეს?

– ჩემი მოტივაციაა, რომ ფიზიკური აღზრდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტული საგანი და არა – მეორეხარისხოვანი. დღეს ისეთი გამოწვევები და მოთხოვნებია, ადამიანმა ჯანმრთელი ცხოვრებით უნდა იცხოვროს, ამ მხრივ კი, ძალიან ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს. მინდა, ეს რეალობა შეიცვალოს, პირადად მე კი, ყოველთვის მოვიგონო რაღაც სიახლეები, შევქმნა რაღაც ახალი და ერთგვარი რევოლუცია მოვახდინო ამ საგანში. საბედნიეროდ, დღეს არსებობს ინტერნეტი, ათასნაირი სოციალური ქსელები, ძალიან მაგარი სკოლები და თავისუფლად შეიძლება, პედაგოგმა ინტერნეტში მოიძიოს განსხვავებული ინოვაციური გაკვეთილები ან მოსწავლეებს ჰკითხოს რა სურთ, რისი გაკეთება შეიძლება – გააჩნია, რა მიზანი ამოძრავებს მასწავლებელს. აქედან გამომდინარე, შეიძლება, მოსწავლეებს დაავალოს, მოიძიონ რამე ახალი, რათა გაკვეთილი რაც შეიძლება უფრო სახალისო, ინოვაციური, მოტივაციური და პოზიტიური გამოვიდეს. მე აქედან გამომდინარე ვმუშაობ და ინტერნეტში ვიძიებ მასალას იმის მიხედვით, კალათბურთს ავირჩევთ, ფეხბურთს, ხელბურთს თუ სხვა სახეობას. ინტერნეტში არაჩვეულებრივი გაკვეთილები დევს და გადმოწერილიც მაქვს ძალიან კარგი გაკვეთილები, რომლებსაც პრაქტიკულად ვამუშავებ მოსწავლეებთან. თუმცა, ჩემი რესურსიც საკმაოდ მაქვს მოფიქრებული და შექმნილი, ატვირთულიც მქონდა შესაბამის საიტზე, სადაც ყველას შეეძლო, შესულიყო და ენახა ეს ყველაფერი. მაგალითად, წყლის მილებით გავაკეთე უამრავი რამ – გადასახტომი, თარჯმრბენის მოწყობილობა, სიმაღლეზე ხტომისა თუ გასაძრომი ინვენტარი და ა.შ. სხვათა შორის, მოწონებაც დაიმსახურა და ბევრმა სკოლამაც შემომთავაზა მათი დამზადება, თუმცა ჯერ ვერ ვიცლი. ბევრს ვათხოვე კიდეც, რათა საკუთარი რესურსებით ჩაეტარებინათ ეფექტური გაკვეთილები. მსგავსი მოწყობილობები განსაკუთრებით კარგია და საჭირო დაწყებით კლასებში.

– ინტერნეტში უფრო რომელი ქვეყნების გამოცდილებას იყენებთ – ევროპულ გაკვეთილებს, ამერიკულს თუ სხვას?

– ზოგადად საზღვარგარეთის გამოცდილებას ვიყენებ, სპორტული აკადემიებისას, რადგან იქ განსხვავებული სწავლებაა, ინოვაციური. მოსწავლეებს სიახლეს პრაქტიკულადაც ვუხსნი და პროექტორითაც ვაჩვენებ ეკრანზე. საორიენტაციოდ ერთი რომელიმე მოდელი არ მაქვს – რომელიც უკეთესია, იმას ვიყენებ. მაგალითად, კალათბურთზე, ძირითადად, ამერიკული კოლეჯების მაგალითით ვხელმძღვანელობ, რადგან ძალიან მაგარი გაკვეთილები და სპორტული წრეები აქვთ. ფრენბურთზე და ხელბურთზე ევროპული სკოლებითაც შეიძლება სარგებლობა. თუმცა არის რაღაცები, რაც ყველასათვის საერთოა. მაგალითად, პირველადი მომზადება – ბავშვმა უნდა იცოდეს მარჯვენა და მარცხენა, ადგილზე თუ დარბაზის გარშემო სიარული და ა.შ. პირველადი მომზადება ხომ ძირითადისთვის მზადებას ითვალისწინებს, იქ კი უფრო პრაქტიკული მაგალითები სრულდება. აი, სწორედ იქ არის საჭირო უფრო მეტად ეს ახალი გაკვეთილები.

თუმცა, უცხოეთს ვერ შევედრებით, არაჩვეულებრივი დარბაზები და ინვენტარი აქვთ. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, იმ დონეს მივაღწიო, რომ თითოეულ ბავშვს საკუთარი ინვენტარი ჰქონდეს და, ვთქვათ, 20 ბავშვი ერთ ბურთს არ შესცქეროდეს. ამას მეტ-ნაკლებად მივაღწიე, პროექტების დახმარებით. მაგალითად, შარშან 1000-ლარიანი პროექტი მოვიგე – „კალათბურთის განვითარება სკოლებში“ და იმ თანხით 15 ბურთი ვიყიდე. სკოლაც მეხმარება, რაიონის გამგეობაც და ამის პრობლემა უკვე აღარ მაქვს. სხვათა შორის, გაკვეთილიც ძალიან ეფექტური გამოდის, როცა სკოლაში ინვენტარის კარგი მარაგია და ყველა თავისი ინვენტარით ვარჯიშობს. ჩემი სკოლა უკვე კარგადაა აღჭურვილი – პატარა ბურთები იქნება, კონუსები თუ სხვა მოწყობილობა, ყველაფერი გვაქვს და თან ვცდილობ, კიდევ და კიდევ დავამატო. როცა საკმარისი ინვენტარი გაქვს, გაცილებით მეტი სიახლის მოგონება შეიძლება, შედეგად კი გაკვეთილი გაცილებით სახალისო, ეფექტური და განსხვავებული გამოდის.

– რომელია უფრო მნიშვნელოვანი – თეორიული განათლება თუ პრაქტიკული გამოცდილება?

– თავის დროზე, მე ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი დავამთავრე, რომელშიც სწავლების მაღალი დონე იყო – ინსტიტუტს არ ჩამოუვარდებოდა, ყველა საგანი მაქვს გავლილი, რადგან პრაქტიკულადაც მზად უნდა იყო ყველაფრისთვის. ახლა ტრენინგებზეც ბევრი რამ გვასწავლეს. ყველანაირ მოძრაობას უნდა აკეთებდე, ფაქტობრივად, მოდელი ხარ ბავშვისთვის – როგორ აკეთებ ამა თუ იმ მოძრაობას, ხელი როგორ მოძრაობს ბურთის წამოღებისას და ა.შ. ამიტომ, თეორიაც აუცილებელია და პრაქტიკაც – თეორიულადაც უნდა იცოდე ყველაფერი და პრაქტიკულადაც ზუსტად აკეთებდე, რათა ბავშვმა უკეთ აითვისოს. როცა ეს ორივე კომპონენტი კარგად იკვრება, საქმეც მაღალ დონეზე გამოდის. ისე კი, არ დაგიმალავთ, რომ ადრე პრაქტიკა მეგონა უფრო მთავარი, მაგრამ ტრენინგებზე სიარულის შემდეგ ბევრად შევიცვალე – თეორიულმა ცოდნამ ბევრი რამ მომცა.

– რატომ დაგჭირდათ სპორტული ინვენტარის კუსტარულად დამზადება, საკმარისი არ გქონდათ?

– ინვენტარი გვაქვს, მაგრამ სრულად რომ დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილებები, ამდენი ფული სადაა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემით შემექმნა ის ბაზა, რომელსაც კარგად ვიყენებ. კი, ქარხნული ბევრად უკეთესია, მაგრამ როცა შეძენის საშუალება არაა, ამ გზით ვცადე მარაგის შევსება. მით უფრო, მარტივი დასამზადებელიცაა, იაფია და კარგადაც მადგება. თუ მასწავლებელს თავისი საგანი უყვარს და პროფესიონალია, აუცილებლად დაამზადებს თავისი ხელით, მით უფრო ამ დროში, როცა ჩვენი შრომა, ანაზღაურების მხრივ, ასე დაფასდა.

– დღეს მართლაც ბევრი კეთდება ამ სფეროს გასაუმჯობესებლად, სკოლებში სპორტის გაკვეთილების როლის გასაზრდელად და ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. თქვენი აზრით, რამდენად სწორად მიდის რეფორმა და რაიმეს შეცვლას ხომ არ ისურვებდით არსებულ მოდელში?

– ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საგანი უნდა ასწავლოს სპეციალისტმა – ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა. შეიძლება არ იყოს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი და იყოს მწვრთნელი, მაგრამ საგანი უნდა იცოდეს იმ დონეზე, რომ ასწავლოს. ახლა დირექტორს მიეცა უფლება, რომ დაწყებითებში შეუშვას სპეციალისტი. როცა ბავშვს დაწყებითში ათვისებული აქვს ყველანაირი მოძრაობა და მეხუთე კლასიდან გადადის საბაზოზე, ანუ სპორტზე, სადაც სპორტული თამაშები უნდა ისწავლოს, ამ პროცესს მომზადებული უნდა შეხვდეს. სკოლას თუ არა ჰყავს კვალიფიციური კადრი, მაშინ უნდა მოიწვიოს ან პედაგოგები უნდა გადამზადდნენ, როგორ ჩაატარონ გაკვეთილი. მაგალითად, სკოლას პატარა ოთახიც რომ ჰქონდეს თავისუფალი, არაჩვეულებრივად შეიძლება იქ გაკვეთილის ჩატარება, მოძრავი თამაშების გამოყენებით, რაც ბევრი მაქვს ჩემს პრაქტიკაში. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემს სკოლაში ძალიან კარგი დაწყებითების მასწავლებლები გვყავს, მათ მიაქვთ ხოლმე ბურთები, ასეთ მოძრავ თამაშებს ათამაშებენ პატარებს, რითაც ძალიან ახალისებენ. ამ დროს ბავშვი მოძრაობაშია, რაც ჯანმრთელობის რეკომენდაციაშიც გვიწერია, რომ ყოველ 45 წუთში ბავშვი, 5 წუთით მაინც, უნდა დგებოდეს და მოძრაობდეს. მიხარია, რომ ჩვენს სკოლაში, დაწყებითებში, ასეთი ინტერესიანი პედაგოგები გვყავს. მასწავლებელს თავისი საგანი თუ უყვარს, სხვასაც შეაყვარებს. არადა, დასამალი არაა, რომ ხშირად დაწყებითებში ბავშვებს, სპორტის ნაცვლად, სხვა საგნებში ამეცადინებენ – შეიძლება ქართული აწერინონ ან მათემატიკა და ა.შ. არადა, ბავშვიც ხომ უნდა დაიღალოს, დაცალოს თავისი ენერგია.

– ეს დირექტორის, ანუ ცალკეული ინდივიდის სურვილსა თუ კეთილ ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, კანონმა უნდა დავაალოს...

– მეც სულ ამას ვამბობ – ამ საგანს პრიორიტეტი უნდა მიეცეს, არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი. აქედან იწყება ბავშვის სიხალისე და მომზადება – ჩემთან რომ გადმოდის, მეხუთე-მეექვსე კლასებში, მაშინ არ უნდა შევასწავლო საწყისი ანბანი: მარჯვენა-მარცხენა, ბრუნი თუ სხვ. მე უკვე სპორტის რომელიმე სახეობა უნდა დავიწყო – კალათბურთის, ხელბურთისა და სხვათა ელემენტების შესწავლა.

– ამ მხრივ მართლაც კარგი საქმე იქნება, სპორტის სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯში, სექტემბრიდან, თუ მართლაც ამოქმედდება ფაკულტეტი ან ჯგუფი სპორტის მასწავლებელთა მოსამზადებლად, რაზეც აქტიურად მიმდინარეობს საუბარი.

– ეს აუცილებლად სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ვისურვებდი, რომ სპორტულ ღონისძიებებზე, ძირითადად, მოჭიდავეებით არ ვიყოთ წარმოდგენილი. ჭიდაობა კარგია, არაფერს ვერჩი და წარმატებებსაც ვუსურვებ, მაგრამ გუნდური სათამაშო სახეობებიც აუცილებლად უნდა განვითარდეს. გაკვეთილებზეც ბავშვები გუნდურად უნდა ათამაშონ. მინახავს გაკვეთილი, როცა მოსწავლეები ფრენბურთს თამაშობენ, ერთი ბურთია და 15 ბავშვი თავის რიგს უცდის. წესით, გუნდებად უნდა დაშალონ და ერთმანეთთან ათამაშონ. გუნდური თამაში განსხვავებულია და კარგი ეფექტი აქვს.

– სპორტი – მასობრიობა თუ მაღალი მიღწევების სფერო, თქვენი აზრით, უფრო მეტად რომელია მისი ფუნქცია?

– ერთ ადრინდელ თეზისს გავიმეორებ: ერთი ოლიმპიელის გაზრდას მირჩევნია, 400 და 500 პირველთანრიგოსანი მყავდეს. ჯანმრთელი თაობა უპირველესია, იმათგან კი, რომელიმე ოლიმპიელიც გამოვა და წარმატებული სპორტსმენიც. სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა აუცილებელია. როცა მასა ძლიერია, იქ ბევრი რამაა მოგვარებული და ქვეყანაც ბევრად წინაა. მასობრიობა პირველივე კლასიდან უნდა დაიწყოს, მერე კი, როცა საბაზოზე გადავა, ბავშვი თავად აირჩევს მისთვის სასურველ სპორტის სახეობას და იმ განხრით წავა.

ესაუბრა **ირაკლი თავაძე**

ოქსფორდში რუსეთის წინააღმდეგ ქართველების საუკუნოვანი პეტიციის ორიგინალს მიაგნეს

ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეულმა მკვლევარმა, ბექა კობახიძემ და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლიანის ბიბლიოთეკის ორიენტალური განყოფილების უფროსმა, ჯილიან ევისონმა ქართველი ხალხის საუკუნოვანი პეტიციის ორიგინალს მიაგნეს რუსეთის წინააღმდეგ.





1907 წელს გაიმართა ჰააგის საერთაშორისო კონფერენცია. მან ბევრი ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა დაადგინა, რომელიც დღემდე ძალაშია. ამ კონფერენციისთვის ანარქისტმა და ქართველმა ნაციონალისტმა, თავადმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა დაიწყო „ქართველი ხალხის პეტიციის“ შედგენა.

პეტიცია ბრალს სდებდა რუსეთს 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის დარღვევაში, ანექსიაში, 1905-1906 წლებში „პოგრომების“ მოწყობაში გურიის ტერიტორიაზე და ითხოვდა, ტრაქტატის მუხლების საფუძველზე, საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებას. საჯაროდ ასე იყო ცნობილი, რომ ტექსტი შეადგინა მომავალში ეროვნულ-დემოკრატმა, იურისტმა გოგიტა გვაზავამ.

ჯერ კიდევ 5 წლის წინ ვნახე ოქსფორდის ბოდლიანის ბიბლიოთეკაში, რომ ტექსტის რედაქტირებაზე და მისთვის საბოლოო სახის მიცემაზე მუშაობდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ოლივერ უორდროპი. მან ისიც მოახერხა, რომ ტექსტი მოხვედრილიყო კონფერენციის მონაწილეთა მაგიდაზე, მაგრამ საკუთარ მონაწილეობას, გასაგებ მიზეზთა გამო, ბოლომდე ასაიდუმლოებდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა ასე შეაფასა ეს მოვლენა: *„ასი წლის შემდეგ პირველად იყო, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა“.*

სამიათასამდე ხელმოწერა ჰქონდა ტექსტსო, გადმოცემით ვიცოდით, მაგრამ სად იყო ეს ხელმოწერები, არ გვენახა. 2013 წელსაც ვეძებდი და ვერ ვიპოვე ოქსფორდში. როგორც ხდება ხოლმე, არასწორი სახელით აღმოჩნდა კატალოგიზირებული.

ახლა კიდევ ერთხელ მოძებნა მთხოვა ბატონმა ოთარ ჯანელიძემ და ისევ ვერ მოვძებნიდი, რომ არა ჯილიან ევისონი, რომელიც ამ კოლექციას კურირებს და იცის სად რა ეშმაკი შეიძლება იყოს დამალული. თავიდან ვერც მან მოძებნა, მაგრამ განმეორებითი და განმეორებითი ძებნის შემდეგ მივაკვლიეთ.

25 ფურცელი, ხელმოწერებით სავსე. ეს არის ქართველი ხალხის პეტიცია, ნამდვილად, ამ პრინციპითაც შედგა:

1. არც ერთი პოლიტიკოსის და პოლიტიკურად აქტიური ადამიანის ხელმოწერა ზედ არ არის;
2. საზოგადო და კულტურულ მოღვაწეთა უმრავლესობა (ოცხელი, ვუკოლ ბერიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კოტე მაყაშვილი და ა.შ.), მღვდლები (კარბელაშვილები), მუშები, გლეხები, მასწავლებლები, თავადაზნაურობა ლამის სრული შემადგენლობით, მრეწველები და „ახალშობილი“ ქართული ბურჟუაზია;
3. სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფურცლებზეა ხელმოწერები გაკეთებული, რეგიონული პრინციპით. ცალკეა კახეთის ხელმოწერები, ცალკე იმერეთის და ა.შ.

წარმოიდგინეთ, რამხელა შრომა და რისკია ამ ყველაფერში ჩადებული, ცარისტული რუსეთის პირობებში ეს ხალხი დადიოდა მთელი საქართველოს გარშემო და აგროვებდნენ ხელმოწერებს:

1. გლეხს და მუშას თუ ცოტა რამ ჰქონდა დასაკარგი, აი თავადაზნაურები და მრეწველები, მასობრივად, რისკის ქვეშ აყენებდნენ საკუთარ სოციალურ სტატუსსა და პრივილეგიებს, რადგან მათი ხელმოწერები უნდა წარედგინათ რუსეთის წინააღმდეგ, საერთაშორისო კონფერენციისთვის;
2. ვინც ფრანგულად ან ინგლისურად საუბრობდა (ასეთი ძალიან ცოტა იყო), მათ ხელი ლათინური ანბანით მოაწერეს, დანარჩენებმა ქართულად. არც ერთი რუსულენოვანი ხელმოწერა არ არის;
3. ამ ტექსტს უკეთებდნენ ინტერნაციონალიზაციას: ჩართეს უორდროპი, ჩართეს დასავლური პრესა და თქვენ წარმოიდგინეთ მაშინდელი საერთაშორისო ფემინისტური მოძრაობა ნანი დრაიჰარსტის მეთაურობით.

ხომ არაფერი ყოფილა შედეგი, ამას საქართველოს გათავისუფლება არც მოჰყოლია და ვერც მოჰყვებოდა, მაგრამ თვითონ კმაყოფილები იყვნენ, რომ მაქსიმუმი გააკეთეს და *„ასი წლის შემდეგ პირველად იყო, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა“.*

ეს ხელმოწერები გვეუბნება, რომ ეროვნული თავისუფლების მნიშვნელობა, ელიტურ ჯგუფებში მაინც, იმაზე მაღლა იყო, ვიდრე ხშირად გვგონია. სოციალური ისტორიის შესასწავლადაც საინტერესო აღმოჩენაა.

მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მეხსიერების პოლიტიკისა და მუზეუმისთვის არის ეს დოკუმენტი:

1. მასზე ყველა მეორე ქართველს შეუძლია საკუთარი გვარის ამოკითხვა და მერე იმ ამბავში ჩაძიება, რომ ესა და ეს წინაპარი, 111 წლის წინ, ჰაგის კონფერენციისთვის წარსადგენ პეტიციას აწერდა ხელს და ამით დიდ რისკს სწევდა;
2. კარგი იქნებოდა ოკუპაციის მუზეუმში ერთი დიდი მემორიალური კედლის გაკეთება, სადაც ამ სახელებსა და გვარებს ჩამოვწერდით. ხალხი მოვიდოდა და კედელზევე დაიწყებდა თავიანთი წინაპრების ძიებას, გადმოცემული ამბების მოყოლას... აქ შეიძლება ბევრი სხვა ინფორმაციაც წამოვიდეს ოჯახებიდან, რომელსაც ისინი დღემდე ყურადღებას არ აქცევდნენ.

ბექა კობახიძე
ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეული მკვლევარი
netgazeti.ge

5 ლარი
12 ლარი
10 ლარი
9 ლარი

გამოცემლობა „ასლი განათლება“ გთავაზობთ

ნიგნის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული ამბოგრაფიული პროზა ლიტერატურის მეცნიერებათა ბაკალავრებისთვის

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა

15 ლარი

პროფესიული უნარები 300 მნიშვნელოვანი კითხვა-პასუხებით

8 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

7 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის

15 ლარი

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ჟურნალი

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

9 772233 386008 >

ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.